# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 სექტემბერი 2007 №204 (3127) ფასი 50 თეთრი

# შევჩენკო ნაკლებად მაინტერესებს, მთავარია, კობიაშვილმა ითამაშოს

## ტოპმიოლერის შთაბეჭდილება ახალწვეულებზე

## GUT



საუკრაინო-სააზერბაიჯანო მზადება დაიწყო: გუშინ სალამოს კლაუს ტოპმიოლერმა „ამერის" სტადიონზე საათნახევარი ავარჯიშა ნაკლული გუნდი. ნაკლული იმიტომ, რომ ხუთი ფეხბურთელი არ იყო — კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი გუშინლამ ჩამოვიდნენ თბილისში.

სრული დატვირთვით არ უვარჯიშია ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ ლევან კობიაშვილს და არაა გამორიცხული, უკრაინასთან ვერც ითამაშოს, თუმც ვერც ოლეგ ბლოხინს ჩამოჰყავს რჩეულ-რჩეული ბიჭები.

ჩვენების ვარჯიშის შემდეგ კი ტოპმიოლერს ვესაუბრეთ. გერმანელმა მწვრთნელმა ახალწვეულები შეაქო.

— დღეს ნაკრების რამდენიმე დებიუტანტმა ივარჯიშა და თავადაც ნახეთ, რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. იმედია, მათ არ გაუჭირდებათ ნაკრებთან შერწყმა. კობახიძეს, მერებაშვილსა და ყენიას რამდენჯერმე ადრეც უვარჯიშიათ ჩვენთან. ტატანაშვილიც კარგი ფეხბურთელია, კარგად თამაშობს თავით, სწრაფი და ტექნიკურია. კვახაძემ „ვიტ ჯორჯიაში" კარგად წარმოაჩინა თავი. ძლიერი მცველისთვის ყველა თვისება აქვს.

...კობიაშვილს ახლაც აწუხებს მცირე ტრავმა. მე ველაპარაკე „შალკეს" თავკაც მირკო სლომკას, შევთანხმდით იმაზე, რომ თუ კობი მომჯობინდება, უკრაინასთან ითამაშებს, აზერბაიჯანთან კი დავასვენებთ.

...შესაძლოა, ანდრეი შევჩენკომ ვერ ითამაშოს ჩვენთან? ეს ნაკლებად მაინტერესებს, მთავარია, კობიაშვილმა ითამაშოს.

ნუკრი ლოლაძე



# ლევან კობიაშვილი: ლუქსემბურგი არ გამაგონოთ!

ლუქსემბურგთან ავადსახსენებელ მატჩში ცუდი ისიც იყო, რომ „შალკეს“ ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა ტრავმა მიიღო და ბუნდესლიგის წინა ტურში „ლევერკუზენთან“ არ უთამაშია. ლევანი ახლა თბილისშია და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მისი თამაში 8 სექტემბერს უკრაინასთან მაინც სათუოა...



— ფეხი ისევ მაწუხებს, მაგრამ დღითიდღე ვატყობ, რომ უკეთესობისკენ მიდის. ეროვნული ნაკრების ექიმები ყველაფერს აკეთებენ, შაბათს მწყობრში რომ ვიყო.

— „შალკეს“ მწვრთნელი მირკო სლომკა უკმაყოფილო ყოფილა, გუნდს ტრავმირებული რომ დაუბრუნდი...

— რომელ მწვრთნელს სიამოვნებს, ფეხბურთელი ტრავმირებული რომ დაუბრუნდება. ყველა მწვრთნელს უნდა, ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში არ გაუშვას, მაგრამ ჩემი მოვალეობაა საქართველოს ნაკრებთან ერთად ვიყო და აქაც ვარ.

— ლუქსემბურგთან მატჩზე რას იტყვი?

— ამ თამაშზე საერთოდ არ მსურს საუბარი. ფაქტია, რომ ცუდად ვითამაშეთ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ახლა არ არის ამის გარჩევის დრო. ყველანი უკრაინასთან შაბათის მატჩზე ვფიქრობთ.

— რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს უკრაინასთან?

— შანსები როგორ არ გვაქვს, ოღონდ ისე არ უნდა ვითამაშოთ, როგორც ლუქსემბურგთან.

— 12 სექტემბერს აზერბაიჯანის ნაკრებთან იქნები?

— უკრაინასთან მატჩის შემდეგ გელზენკირხენში უნდა დავბრუნდე.

**ნუგზარ ლოლაძე**





# ექიმო, სკიპიდარი ჩამოასხი!



**„გარანტიას გაძლევთ, რომ შაბათისთვის გუნდი საომრად მზად იქნება“ — ასე დაამშვიდა უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა ჟურნალისტები გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მან გაცვეთილი და ჩვენთვის მოსაბეზრებელი სიტყვებიც თქვა: „საქართველოს ნაკრები ტექნიკურია“**

— ორი კვირის წინ ამტკიცებდით, რომ ჩიგრინსკიმ ძალიან უკლო, ნაკრებში კი მაინც გამოიძახეთ. ასე უცებ მოუმატა?

— მსგავსი რამ არ მითქვამს. ვგულისხმობდი, რომ იმ მომენტისთვის ჩიგრინსკი სანაკრებოდ მზად არ იყო. საერთოდ კი, რუსოლთან წყვილში კარგად ვერ თამაშობს, სამაგიეროდ, კუჩერასთან და ეზერსკისთან უკეთესად გამოსდის.

— რა ვითარებაა გუნდში?

— ტრავმირებული ვორობეი სახლში გავუშვით. მიხალიკი და ნესმაჩნიც ალბათ გამოტოვებენ ორ შესარჩევ მატჩს. მსუბუქად დაშავებულნი არიან გუსევი, როტანი და კალინიჩენკო, ამიტომაც ვუხმეთ შევჩუკს.

— უნგრეთ — იტალიის შეხვედრა ნახეთ?

— საამისოდ ჯერ არ გვცალია, რადგან ჩვენი ნაკრების შეცდომების გამოსწორებაზე ვმუშაობთ. ამჟამად საფრანგეთთან წაგებულ მატჩს ვაანალიზებთ. თავადაც ნახეთ, რომ მე-60 წუთის შემდეგ გუნდი გაჩერდა.

— შევჩენკო ითამაშებს?

— ჯერ არ ვიცით. ანდრეის ვესაუბრეთ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობთ. საქართველოსთან მატჩამდე ვიფიქრებთ. შევჩენკომ თბილისში თუ არ ითამაშა, საკვირველი არ იქნება.

— კალინიჩენკოს ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია?

— საერთოდ, გუნდში ბევრი მოუმზადებელი ფეხბურთელია. ზოგიერთს კლუბში არ ათამაშებენ, ზოგს კი უიღბლო პერიოდი აქვს. ამჟამად ნაკრებში სათანადოდ მომზადებული 16-17 კაცია. ახალგაზრდა კრავჩენკოც კი გამოვიძახეთ, მაგრამ ეს უფრო ავანსია სამომავლოდ. რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკის“ ფორვარდ მაქსიმ კალინიჩენკოს, აშკარად დათრგუნულია. „სელტიკთან“ მატჩში პენალტი ვერ გაიტანა და გასულ უქმეებზე ცსკასთან ბოლო წუთებზე გაშვებული გოლიც მას დააბრალეს.

— როგორ აპირებთ კერკეტი ქართველების დამარცხებას? როგორ „დაქოქავთ“ ბიჭებს?

— რა ვიცი, იქნებ ექიმს სკიპიდარი გამოვართვა. მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. საქართველო კარგი გუნდია ტექნიკური ფეხბურთელებით. ამჟამად ჩვენთვის მთავარი კალაპოტში ჩადგომაა. გარანტიას გაძლევთ, რომ შაბათისთვის გუნდი საომრად მზად იქნება.

— როგორ შედეგს მიიჩნევთ დამაკმაყოფილებლად მომდევნო ორ მატჩში?

— ორივე შეხვედრაში ნახევარი ბურთით მოგებას.

## ჩვენები უკრაინულ გან-რიგში

საშაბათო მატჩისთვის უკრაინელები კიევში ემზადებიან, თბილისს კი 7 სექტემბერს ესტუმრებიან და იმავე დღეს, 19 საათზე „ეროვნულზე“ ივარჯიშებენ, მანამდე კი უკრაინელთა მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი პრესკონფერენციას გამართავს.

თავდაპირველი გეგმით, 19 საათზე „ეროვნულზე“ საქართველოს ნაკრებს უნდა ევარჯიშა, მაგრამ ჩვენები ერთი საათით გვიან გავლენ მოედანზე.

# დომენეკი იტალიას ტელეფონით ეთამაშება



**უეფამ** რაიმონ დომენეკის საჩივარი განიხილა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ გაუუქმა. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი 8 სექტემბერს იტალიასთან ევროშესარჩევ შეხვედრას ტრიბუნიდან ნახავს. დომენეკმა აგვისტოში საგაზეთო ინტერვიუში თქვა, რომ 1999 წელს იტალია — საფრანგეთის 21-წლამდელთა მატჩის (2:1) მსაჯი მასპინძლებმა „იყიდეს“. უეფა დასჯით დაემუქრა, თუ ნათქვამს ვერ დაამტკიცებდა და ასეც მოხდა — ერთი კვირის წინ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ფრანგთა თავკაცმა გუშინ გაასაჩივრა, მაგრამ ამაოდ. უეფას შტაბბინიდან გამოსულმა მწვრთნელმა კომენტარი იუარა და მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: „არ ვიცი“. რაიმონ დომენეკი უეფას სალაროს 8 ათასი დოლარითაც შეავსებს.

იტალიასთან მატჩში ფრანგს მწვრთნელისთვის განკუთვნილი სკამზე დაჯდომისა და გასახდელში შესვლის უფლება არ ექნება. იგი ტრიბუნიდან ტელეფონით უკარნახებს თანაშემწეებს.

„არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა თვისტომს საქციელი დაუწუნა: „არა მგონია, რომ ის მართალი იყოს. ასეთი მატჩების (იტალია — საფრანგეთი) თაობაზე მწვრთნელები ყოველ სიტყვაზე პასუხს აგებენ და ომი არ უნდა ატეხონ“.

რობერტო დონადონი კი ერთობ გულმოწყალე გამოდგა მეტოქე კოლეგის მიმართ: „ჩემი ნება რომ იყოს, დომენეკს სასჯელს გავუუქმებდი. ამბობენ, მოედანი ტრიბუნიდან უფრო კარგად ჩანსო, მაგრამ მწვრთნელის ადგილი სკამზეა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დღეს: ოპერაცია შოთა

**ესპანეთის** პრიმერადივიზიონში დებიუტი ისევ გადაედო შოთა არველაძეს. მას კვლავაც მუხლი აწუხებს და დღეს ჰოლანდიაში ხელმეორედ გაიკეთებს ოპერაციას, რომელსაც „ლევანტეს“ ექიმიც დაესწრება.

ეს ინფორმაცია გუშინ რევაზ არველაძემაც დაგვიდასტურა: „შოთა ხელმეორე ოპერაციას ხვალ გაიკეთებს. რეაბილიტაციას, სავარაუდოდ, 4-6 კვირა დასჭირდება. ვარჯიშს შედარებით ადრე დაიწყებს, თუმც თამაშს ალბათ ოქტომბრის ბოლოს შეძლებს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




# საუბრები დრამატიზებაზე

**საქართველოს** ორი ნაკრები, ეროვნული და ახალგაზრდული, 7 და 8 სექტემბერს ევროჩემპიონატთა შესარჩევ მატჩებს გამართავს. ეროვნული 8 სექტემბერს უკრაინას უმასპინძლებს, ახალგაზრდული კი ერთი დღით ადრე — ყაზახებს.

ამ მატჩებს მიეძღვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ გამართული პრესკონფერენცია. ჟურნალისტებს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი გოგი ქავთარაძე და ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე ესაუბრნენ...

**ნოდარ ახალკაცი:** 7 და 8 სექტემბერს მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ეროვნული გუნდის თამაშის ბილეთების გაყიდვა 5 სექტემბრიდან იწყება და გულშემატკივრებს ვთხოვ, ორივე მატჩზე თეთრ ან წითელ მაისურებში გამოწყობილნი მოვიდნენ და მხურვალედ უქომაგონ თავიანთი ქვეყნის ნაკრებებს. სტადიონზე ეროვნული გუნდის ოფიციალური ატრიბუტიკაც გაიყიდება...

...ახალგაზრდული ნაკრები რუსთავში ითამაშებს და მატჩზე დასწრება უფასო იქნება...

...6 სექტემბერს თბილისის მერიაში საგანგებო თათბირი შედგება, რომელიც უკრაინასთან მატჩის უსაფრთხოებას და სათანადო ორგანიზებას მიეძღვნება...

...ორივე ნაკრების ვარჯიში ოთხშაბათს დახურული იქნება, დანარჩენი ღიაა...

–ფანკლუბის წევრებისთვის ტრადიციული შეღავათებია: 5 სექტემბრიდან ეროვნულ სტადიონზე, ფანკლუბის ოფისში მათ უფასოდ გადაეცემათ ბილეთები...

–ტელეკომპანია „იმედის" გადაწყვეტილებით, მატჩზე მხოლოდ მათი კამერები იმუშავებს. ეს მარტო ქართულ ტელეკომპანიებს არ ეხება. ოპერატორებს, რომლებიც მატჩზე სპეცალური აღჭურვილობით მივლენ, საშუალება ექნებათ, აპარატურა სპეციალურ საცავში შეინახონ, რათა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ისარგებლონ...

...რაც შეეხება პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის რამდენიმე განცხადებას არასწორი ინტერპრეტაცია მოჰყვა. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ფეხბურთელი თავგანწირვით და მობილიზებით არ ითამაშებს, ნაკრებში ვერ მოხვდება. ჩვენ ფეხბურთელებს პროფესიონალიზმს ვთხოვთ და ეს გასაკვირი არ უნდა იყოს...

**გოგი ქავთარაძე:** საქართველოში ძალიან პოპულარული გახდა სიტყვა „ფანდარასტ", რომელიც ფეხბურთის ფედერაციასთან მიმართებაში პრესაში რამდენჯერმე გაჟღერდა. მინდა, ვთქვა, როდესაც ნოდარ ახალკაცს და კლაუს ტოპმიოლერს კოკოითს ადარებენ, მეტი რომ არ ვთქვა, ღიმილით ვხვდები. მასმედიის წარმომადგენლები ბოლო დროს ფაქტობრივ შეცდომებსაც უშვებენ...

–ერთ-ერთ პუბლიკაციაში ეწერა, რომ ჯობდა, ფეხბურთის ფედერაციას ტოპმიოლერის ნაცვლად „ეროვნულზე" ერთი „ტაბურეტკა" მაინც დაედო. ამ წერილის ავტორს ალბათ დაავიწყდა, რომ „ეროვნულზე" ფედერაციის ინიციატივით და ნაწილობრივი დაფინანსებით არაერთი „ტაბურეტკა" დაიდო და ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად კიდევ ბევრს დადგამს. ყოველივე ამის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული პასკვილები გულდასაწყვეტია...

**რევაზ არველაძე:** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაზე და სლოგანზე „ჩვენ ერთი გუნდი ვართ", გეტყვით, რომ დრამატიზება საჭირო არ არის. რაც შეეხება უკრაინასთან მატჩისთვის ზოგიერთი ფეხბურთელის არმიწვევას — ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და ვარაუდები, რომლებიც საქმეს ვნებს, უაზროა. არის მწვრთნელი, რომელსაც თავისი მოსაზრებები აქვს და გადაწყვეტილებასაც შესაბამისს იღებს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საესი უჯრაჯიჩოდ დაგვხვდება

**11 სექტემბერს** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი ჯგუფის და მთლიანად ევროჩემპიონატის მთავარ ფავორიტ ესპანეთთან ელის სტუმრად თამაში, რომელიც ანდალუზიურ ქალაქ ალმუნეკარში, „ფრანსისკო ბონეს" სტადიონზე გაიმართება. მთავარი მსაჯი მარკუს სტრომბერგსონი იქნება, დამკვირვებელი ირლანდიელი პატრიკ კელი, ხოლო მატჩის დელეგატი — შვეიცარიელი ბერნარ კარელი.

პირენეელთა მწვრთნელმა ინაკი საესმა საამატჩოდ 18 ფეხბურთელი გამოიძახა:

***მეკარეები:*** *რობერტო ხიმენესი (ხიმნასტიკი), ადრიან ლოპესი (დეპორტივო)*

***მცველები:*** *მიგელ ტორესი (რეალი), ხოსე ანხელ კრესპო, ალეხანდრო ალფარო (ორივე — სევილია), ანტონიო ბარაგანი (დეპორტივო), ხავიერ მარტინესი (ბილბაო), მარკ ტორეხონი (ესპანიოლი), ხერარდ პიკე (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)*

***ნახევარმცველები:*** *სისინიო (ვალიადოლიდი), ხოსე ხურადო, რაულ გარსია (ორივე — ატლეტიკო), დიეგო კაპელი (სევილია), ესტებან გრანერო (ხეტაფე)*

***თავდამსხმელები:*** *ხუან მატა (ვალენსია), ფრანსისკო კასილა (ესპანიოლი), რობერტო კანილა (ხიხონი), ფრანსისკო ტეხადა ხისკო (დეპორტივო)*

სიაში არაა „ვილიარეალის" მცველი ხოსე ენრიკე, ვინაც საქართველოს 21-წლამდელებს თბილისში გადამწყვეტი გოლი გაუტანა, მაგრამ მატჩის მიღეულს გააძევეს და დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს შეხვედრას.

საესის რჩეული ფეხბურთელები წლეულს „ოსასუნადან" 15 მილიონ ევროდ ნაყიდი საყრდენი ნახევარმცველი რაულ გარსია, „რეალის" ფლანგელი მცველი მიგელ ტორესი და „ვალიადოლიდის" შემტევი მარჯვენაფლანგელი სისინიო არიან. თბილისური მატჩისგან განსხვავებით, დონ ინაკიმ შემადგენლობაში არ შეიყვანა „ბარსელონას" 17 წლის ამომავალი ვარსკვლავი ბოიან კრკიჩი.

# ესპანეთი მოგონებაა, ქულები გვინდა

## გიორგი ფოფხაძე: დანია – შვედეთი იგივეა, რაც უკრაინა – საქართველო

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული გიორგი ფოფხაძე დანიურ „ვიბორგში" მეორე სეზონს ატარებს. კარგია, რომ 20 წლის მცველმა როგორც იქნა მონახა არცთუ ძლიერი, მაგრამ ისეთი კლუბი, რომელშიც სათამაშო პრაქტიკა აქვს და ენდობიან — მანამდე ხომ გიორგი შოტლანდიურ „ჰართსში", გერმანულ „ბურგჰაუზენში", შვედურ „ჰეკენსა" და ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" იყო გასინჯვაზე. ფოფხაძე ამჟამად თბილისშია და ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროშესარჩევი მატჩებისთვის ემზადება.

— 7 სექტემბერს პეტარ სეგრტის გუნდი ყაზახეთს მასპინძლობს, 11-ში კი ესპანეთს ესტუმრება

— სამწუხაროდ, ორი შესარჩევი მატჩიდან ქულაც არ გვაქვს და ყაზახეთთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ, სხვა გზა არაა. ჯერ ყაზახეთზე ვფიქრობთ, ესპანეთზე კი 7 სექტემბრის შემდეგ გადავერთვებით.




— ესპანელ თანატოლებთან შინ კი წააგეთ, მაგრამ ნაკრების თამაშს ურიგო არ ეთქმოდა...

— ასე იყო. ამ ასაკში ესპანეთი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და მასთან რომ თანაბრად ითამაშებ... ფრის შანსი გვქონდა და ის მატჩი ნამდვილად კარგ მოგონებად დარჩება, მაგრამ წინ კიდევ ექვსი ტურია და მარტო კარგი თამაში არ კმარა, მოგებაა საჭირო.

— პოლონეთთან წაგებულ თამაშზე რას იტყვი?

— სამწუხაროდ, ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, რის გამოც მე ამპლუაც კი შემიცვალეს და ნახევარდაცვაში დამაყენეს. ცუდად არ მითამაშია, მაგრამ...

— ახლა „ვიბორგზე": შენი გუნდი შარშანაც გავარდნის პირას იყო და ახლაც...

— შარშან მართლაც ცუდი სეზონი გვქონდა, ამ ზაფხულს კი კლუბმა დიდი ფული დახარჯა, „რუსენბორგიდან" და „ჩარლტონიდან" მოიწვიეს ფეხბურთელები, რამდენიმე ახალგაზრდაც დაგვემატა და სწორედ შეუთამაშებლობის ბრალია, რომ ცუდად დავიწყეთ. თუმც ბოლო ტურებში „ვიბორგმა" მოუმატა და, წესით, გავარდნის საფრთხე აღარ უნდა შეექმნას.

— შენ სულ მარცხენა მცველად თამაშობ?

— ხან მარცხნივ, ხანაც — ცენტრში.

— **ამ ზაფხულს იყო ლაპარაკი, ფოფხაძე უფრო ძლიერი დონის კლუბებს სურთო...**

— ასე იყო, მაგრამ „ვიბორგში" დარჩენა ვარჩიე. უნდა მოვმაგრდე და მეტი გამოცდილება შევიძინო. დანიის ჩემპიონატში ჯერ 30 მატჩი ვითამაშე...

— შენს პოზიციაზე რამდენად დიდი კონკურენციაა?

— კონკურენცია ყველა ნორმალურ გუნდში უნდა იყოს. ვერ ითამაშებ და სკამზე დაგსვამენ — ეს ყველა ფეხბურთელისთვის გამაფრთხილებელი ნიშანია. „ვიბორგში" მოდუნების უფლება არავის აქვს.

— შარშან სკანდინავიის ლიგაში ითამაშე. დანიის ჩემპიონატი თუ სჯობია შვედეთისას და ნორვეგიისას?

— ამ ლიგის ფინალში ორი დანიური გუნდი გავიდა, რაც ბევრზე მეტყველებს. შედარების მხრივ, დანია — შვედეთი ან დანია — ნორვეგია ისეა, როგორც უკრაინისა და საქართველოს ჩემპიონატები.

— დანიის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელებიდანაც ბევრი ბრუნდება შინაურ ჩემპიონატში...

— თომას ჰელვეგი „ოდენსეშია", იესპერ გრონკიაერი „კოპენჰაგენში", გერმანულ ბუნდესლიგაში მოთამაშე მოჰამედ ზიდანიც დანიის ჩემპიონატში იყო. დანია ის ქვეყანაა, სადაც კარგ ფეხბურთელებს იაფად იყიდი, ეს სკაუტებმაც იციან და ჩემპიონატის თამაშებზე მათი თვლა არაა. ჩემი აზრით, ფეხბურთში დონის ამაღლება კარგი სტადიონებითა და გულშემატკივრებით იწყება, 30 000 კაცი რომ მოდის და გუგუნებს, ათმაგი სტიმულით ითამაშებ, ცარიელი ტრიბუნები კი...

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩაიცვით თეთრი და წითელი და წავედით ბილეთებზე!

**შაბათს** საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

გულშემატკივრებო, ჩავიცვათ თეთრი და წითელი მაისურები და მხურვალედ ვუქომაგოთ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ თამაშის დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების („დიადორას") მაისურები, შორტები და გეტრები გაიყიდება. მაისურა (წითელი, თეთრი) — 100 ლარი; მაისურა (გრძელმკლავიანი: წითელი, თეთრი) — 110 ლარი; შორტი (წითელი, თეთრი) — 50 ლარი; გეტრები (წითელი, თეთრი) — 20 ლარი;

**8 სექტემბერს** საქართველოს ეროვნული გუნდი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება დღეიდან, 5 სექტემბრიდან, „ეროვნულის" 10 სალარო იმუშავებს 11-დან 18 საათამდე. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, სალაროები იმუშავებს 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე იმუშავებს 4 სალარო ცაბაძის ქუჩაზე.

ბილეთები 5, 10 და 20 ლარი ეღირება.

5 ლარი: ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები. 10 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე სექტორები; დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები. 20 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი — მე-13, 14-ე, მე-15 და მე-16 სექტორები; აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — 23-ე და 24-ე სექტორები; დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-7, მე-9 და მე-10 სექტორები.

**სფფ-ის პრესცენტრი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა | I წრე. 4 ტური

# მასპინძელს კარი არ უჭრიალებს

ზესტაფონი 5:0 ლოკომოტივი
ბათუმი 1:1 ბორჯომი
მესხეთი 2:0 დილა
ვიტ ჯორჯია 2:1 ოლიმპი
ამერი 2:0 სიონი
მგლები 2:0 სპარტაკი
დინამო 3:0 მერანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| მესხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

მასპინძლების ტური იყო: შვიდი მატჩიდან ექვსში დამხვდურებმა იმარჯვეს და აქედან ორში დიდი ანგარიშით. მთლიანობაში, ოთხ დღეზე გაჭიმულმა მეოთხე ტურმა საინტერესოც ბევრი გვანახა — სენსაციები არ იყო, მაგრამ იყო კურიოზული გოლი, საეჭვო პენალტი, მსაჯებზე განევ-გამონევაც. პოტენციურ ლიდერად „დინამო" დარჩა, ვისაც ჯერ ქულაც არ დაუკარგავს, ხოლო 10-10 ქულას „ვიტ ჯორჯიამ" და „ზესტაფონმა" უწიეს მას შემდეგ, რაც პირველ ტურში ერთმანეთში ფრე ითამაშეს. დანარჩენზე კი ცალკე ვთქვათ...



გაჩრი კეთილაძის ფოტო

## ჩვენი ეროვნული ჩვენს ეროვნულზე

სტაჟიანი გულშემატკივრებისთვის ეროვნული სტადიონი მარტო სტადიონი კი არა, რაღაც უფრო ზეადგილია. რამდენჯერ გვინახავს ბოლო წლებში, მხცოვანი ქომაგები ტრიბუნებზე სხედან და მიმდინარე მატჩზე კი არა, მესხზე, მეტრეველზე, შენგელიაზე, ყიფიანზე, გუცაევზე და სხვებზე ჰყვებიან ტრადიციული „ეჰ, რა დრო იყო"-ს ჩალაპარაკებით.

ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ტკივილი კარგი სტადიონების დეფიციტია და სასიხარულოა, რომ „ეროვნულზე" კვლავ ვიხილეთ ჩემპიონატის მატჩი — განახლებულგალამაზებულ სარბიელზე „დინამო" — „მერანი" გაიმართა.

ერთი საინტერესო დამთხვევაც: ამ სტადიონის გახსნას 3:0 დაებედა. ადრეც, განახლებულ, თავიდან აშენებულ „დინამოს" სტადიონზე პირველი მატჩი „დინამო" — „კარდიფ სიტი" იყო და 3:0 მოვიგეთ, შარშან გარემონტებულ სტადიონზე საქართველო — საფრანგეთი 0:3 დამთავრდა და ასეთივე ანგარიშით გუშინწინ „დინამომ" „მერანს" მოუგო. თანაც, სამივე ეს თამაში სექტემბერში იყო...

## სად გამოძვრა სამი გოლი...

ფეხბურთში ხშირად ხდება, ჩახუთული ბრძოლაა, ბურთი მეტწილად მინდვრის ცენტრში ტრიალებს და ერთი ბრმა გოლი წყვეტს მატჩის ბედს. მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „ოლიმპის" შეხვედრაში კი ასეთ თამაშში ერთბაშად სამი გოლი გავიდა. 58-ე წუთამდე ისეთი ბურთაობა იყო, გულშემატკივრები ერთმანეთში „შეთანხმდნენ", ნამდვილად 0:0 დამთავრდებაო, ფეხბურთელები მინდვრის თითო გოჯისთვის იბრძოდნენ და საჯარიმოს მისადგომებთანაც კი იშვიათად გორდებოდა ბურთი, მაგრამ გოლებმა დააწვიმა — „ოლიმპმა" სტანდარტულიდან გაიტანა, ვიტელებმა კი ერთი კურიოზული მიითვალეს, ერთიც რუსთაველთა მეკარის შეცდომით.

## ტოპი შემობრუნდა და არც შემობრუნდა

კლაუს ტოპმიოლერმა ამ გაზაფხულს თქვა, საქართველოს ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალია და აქ თამაშების ყურება, რათა ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელები შევარჩიო, დროის ფუჭი კარგვააო. ახლა კი, ჰერ კლაუსი გასული ტურის ოთხ მატჩს დაესწრო და სანამ სტადიონებზე მივიდოდა, იქამდეც გამოძახებული ჰყავდა ხუთი ფეხბურთელი უკრაინასთან და აზერბაიჯანთან სათამაშოდ.

ისე, გერმანელ მწვრთნელს ჩვენს ჩემპიონატზე წარმოდგენა დიდად არ შეცვლია და გვითხრა კიდეც, აქ მოთამაშე ბიჭები ახლავე მზად არ არიან სანაკრებოდ, უბრალოდ, ზოგიერთები ნაკრებთან გაშინაურების ღირსნი არიანო.

ისიც ვთქვათ, რომ ტოპის გამოძახებული ფეხბურთელებიდან ამ ტურში „დედა, ეს რა ვნახეო", ამგვარად არავის უთამაშია...

## სენტიმენტები სადღა მოსულა

„ამერმა" ბოლნისის „სიონს" ექსსიონელების გოლებით აჯობა: გრიგოლ დოლიძეც და არჩილ ალავიძეც თავის დროზე ქვემოქართლური გუნდის ლიდერები იყვნენ, მაგრამ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ლოიალური თამაში სადღა მოსულა...

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, „ამერი" ბოლნისში ნათამაშევი ბიჭებით რომ ამწარებს „სიონს": გაიხსენეთ სუპერთასის 1:0 და დოლიძის გატანილი, ასევე დავით ბოლქვაძის ბოლო წუთზე შეგდებული წინა სეზონის საჩემპიონატო მატჩში.

და რადგან ყოფილი კლუბის დამწუხრებასთან ვტრიალებთ, ამავე ტურში „მესხეთის" ალეკო კაიდარაშვილმა მშობლიურ გორის „დილას", „ზესტაფონის" როინ ონიანმა კი „ლოკომოტივს" გაუტანეს.

**ილია ნანობაშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 3 - იონანიძე | ზესტაფონი |
| - მეირა | ზესტაფონი |
| - კაიდარაშვილი | მესხეთი |

**მეხუთე ტური**

14 სექტემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი – მგლები
დილა – ზესტაფონი
ოლიმპი – მესხეთი
სიონი – ვიტ ჯორჯია
15 სექტემბერი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
მერანი – ბათუმი
სპარტაკი – დინამო




სიმბოლური ნაკრები

# სისულელეა!

## გოგობერიშვილი: ჩემი და გაჯიევის 'უთანხმოება' ჩმახია



**გუშინდელ** „სარბიელში" ვწერდით, აზერბაიჯანული „ბაკის" აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ბეიუქაღა გაჯიევს „სტანდარტთან" ნამატჩევს გასახდელში თავისი ფეხბურთელებისთვის უყვირია და თამაშის გაყიდვაში დაუდანაშაულებიაო. აზერბაიჯანულ ვებგვერდზე (*www.azerisport*-ზე) ეწერა, მწვრთნელი განსაკუთრებით ორ ფეხბურთელს გასწყრომია და ამათგან ერთი გოგობერიშვილი იყოო.

გუშინ ალეკოს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, ყველაფერი სისულელეა, მსგავსი რამ ჩემს კარიერაში არ ყოფილაო.

„მხოლოდ იმას დაგიდასტურებთ, რომ გაჯიევი „ბაკის" მწვრთნელი აღარაა. დანარჩენი ყველაფერი კი ტყუილი და სისულელეა. ჯერ ერთი, გაჯიევთან თითქმის მამაშვილური ურთიერთობა მაქვს, ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. ჩვეულებრივი წარუმატებელი მატჩის შემდეგ მწვრთნელს პრეტენზია ექნება, შეიძლება, იყვიროს კიდეც, მაგრამ გაჯიევს თამაშის გაყიდვა და ამდაგვარი არაფერი უხსენებია, იმიტომ, რომ ასეთი რამ არ არსებობს."

გოგობერიშვილს იმაზეც ვკითხეთ, გაჯიევი შარშან ბოლნისის „სიონთან" საჩემპიონთალიგო მატჩში გაძევების გამო ხომ არ შემოსწყრა ქართველებსო.

„არანაირად. გაჯიევს ჩემთანაც და ამირან მუჯირთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს."

სიმართლე ვთქვათ, გოგობერიშვილი მსგავს სიტუაციაში არასდროს აღმოჩენილა, სადაც აქამდე უთამაშია, ყველგან პატიოსანი და ზრდილობიანი მოთამაშის სახელი ჰქონდა და აზერბაიჯანული ვებგვერდის ნაწერი ძალიან გაგვიკვირდა.

ალეკოს სხვაც ვკითხეთ...

— რატომ დაიწყო „ბაკიმ" ჩემპიონატი ასე სუსტად?

— ოთხი ტურის შემდეგ ერთი მოგება გვაქვს, რაც ნაღდად არ შეგვეფერება, მაგრამ მჯერა, სიტუაციას გამოვასწორებთ. არ გვიმართლებდა, უამრავ საგოლე მომენტს ვაფუჭებდით.

— შენ როგორ ფორმაში ხარ?

— ნორმალურ ფორმაში ვარ, თუმც ოპტიმალურს ვერ ვიტყვი. მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, მთლიანად გამიცდა ტრავმის გამო. თვენახევრის წინ დავიწყე ვარჯიში.

**ილია ნანობაშვილი**

# ოქროსფეხა დელ პიერო



„ოქროს ფეხი" ალესანდრო დელ პიერომ მოიგო. ეს ჯილდო გასული საუკუნის 50-იან წლებში მონაკოს სამთავროში დაარსდა. ჟიური პრეტენდენტებს ასახელებს, გულშემატკივრები კი ხმას აძლევენ.

კანდიდატებს შორის იყვნენ ლუიშ ფიგუ, ტიერი ანრი, დევიდ ბექჰემი, რობერტო კარლოსი და პაოლო მალდინი. ხმის მიცემა 15 მაისს დაიწყო და ალესანდრო დელ პიერომ 30 199 მოაგროვა. მეორეზე რობერტო კარლოსი გავიდა (29 174), მესამეზე კი დევიდ ბექჰემი (24 121). ორგანიზატორების მთავარი პირობა ისაა, რომ ფეხბურთელი 29 წელზე მეტის უნდა იყოს. გამარჯვებული „ჩემპიონთა ხეივანში" ნაფეხურს ტოვებს.

2003-ში ჯილდო რობერტო ბაჯომ მოიგო, შემდეგ პაველ ნედვედმა, 2005 წელს ანდრეი შევჩენკომ, შარშან კი რონალდომ. „ძალიან მიხარია პრესტიჟული ჯილდოს მოგება — თქვა 32 წლის დელ პიერომ — ვამაყობ იმით, რომ ამიერიდან ჩემი ნაფეხური პლატინის, მარადონას, ზიკოს ნაფეხურების გვერდით იქნება".

შემდეგ „იუვეს" ფეხბურთელმა საამსეზონო ამბებზეც ისაუბრა და ადრიანოსაც გამოექომაგა, რომლის საქმეებიც დაღმა მიდის. „ინტერის" ფორვარდი ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც არ შეიყვანეს და სერია A-ში ძირითად შემადგენლობაშიც აღარ ათამაშებენ: „ზუსტად არ ვიცი, რა პრობლემა აქვს ადრიანოს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გაუმკლავდება. ნიჭის გამოვლენის შანსი უნდა მისცენ და მერწმუნეთ, ადრიანო ისევ ძველებურად ათამაშდება. მას მოტივაცია სჭირდება" — თქვა „ოქროსფეხამ".

წინა ტურში „კალიარისთან" დელ პიერომ სერია A-ში 218-ე გოლი შეაგდო.

„მინდა, რომ 250-მდე ავიდე. შეიძლება ეს ბევრად მოგვეჩვენოთ, მაგრამ მე მჭირდება მიზანი, რომლის მისაღწევად ვიშრომებ. ბავშვობაში ორ რამეზე ვოცნებობდი — იტალიის ნაკრებში და „იუვენტუსში" მეთამაშა. მსურს, ეს, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს" — აღნიშნა დელ პიერომ.

მან ბოლო „კალიარისთან" მატჩზეც თქვა, რომელიც „იუვემ" ჯორჯო კიელინის მიერ 90-ე წუთზე გატანილით მოიგო: „ეს გამარჯვება წინა სეზონის დამსახურებაა. როცა სერია B-ში ვიყავით და მთელი მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგ იყო, „იუვეს" ლექსიკონში დავამატეთ სიტყვა „ტანჯული". „კალიარისთან" იმიტომაც მოვიგეთ, რომ ვიცით, რა არის ტანჯვა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# საბრალო ჯილარდინო

**კარლო ანჩელოტი** და ადრიანო გალიანი მოთმინებისკენ მოუწოდებენ ფანებს, რომლებიც ამაოდ ელოდებიან ალბერტო ჯილარდინოს გაბრწყინებას.

„ჯილამ" 2004-2005-ში „პარმაში" თამაშისას 23 გოლი გაიტანა და „მილანმაც" ამიტომ იყიდა, მაგრამ „შავ-წითლებში" ორ წელიწადში მხოლოდ 17 შეაგდო, მათ შორის, 12 წინა სეზონში. იანვრიდან ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდება ყმაწვილი ბრაზილიელი ალეშანდრე პატო და ჯილარდინო კარგად თუ არ ათამაშდა...

გუშინწინ „მილანი" — „ფიორენტინას" მატჩისას ქომაგებმა „ჯილას" უსტვინეს. პრესკონფერენციაზე კი ანჩელოტიმ თქვა: „ალბერტო მშვიდად უნდა იყოს და უფრო გულმოდგინედ ივარჯიშოს, რასაც აკეთებს კიდეც".

ადრიანო გალიანიმ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა: „გულშემატკივრები მის მიმართ აგრესიულები არიან, მაგრამ პარმის თეატრში ტენორებსაც უსტვენენ. ახალი ფავდამსხმელის შეძენას არ ვაპირებთ, რადგან პატო მშობლებთან ერთად დღეს ჩამოვიდა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის".

რაც შეეხება „ფიორენტინასთან" მატჩს, „მილანის" მწვრთნელმა ფრე დაღლილობას დააბრალა. პარასკევს „სევილიასთან" შეხვედრამ „შავ-წითლები" დაქანცა და შაბათ-კვირას დასვენება ვერ მოასწრეს. „ყოველთვის ვბრაზობ, როცა სამ ქულას ვერ ვიღებთ — აღნიშნა ანჩელოტიმ — ამ მატჩში გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. მოგება გვსურდა, მაგრამ „სევილიას" მერე ალბათ გასაგებია, რომ პრობლემები გვქონდა. ადრიან მუტუს საპასუხო გოლის შემდეგ უფრო მაგრად, თუმც ქაოტურად შევუტიეთ, ოღონდ ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებ. ჩვენი მეტოქე დასვენებული და გაცილებით ორგანიზებული გახლდათ"

ანჩელოტის ადრიანოზეც ჰკითხეს, იანვარში მის ყიდვას ხომ არ აპირებთო, რაზეც მწვრთნელმა მიუგო: „ჩვენი სატრანსფერო კამპანია ამჯერად დასრულებულია, იანვრამდე კი ვიფიქრებთ. ამჟამად მხოლოდ ალეშანდრე პატოთი ვართ დაკავებულნი".



17 წლის ალეშანდრე პატო 7 სექტემბერს კიევის „დინამოსთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. მომავალ კვირას კი ბრაზილიელი ფორვარდი 18-ის გახდება და იანვრიდან „მილანის" ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ყველაზე ბებრები ესპანეთში



ესპანური პრიმერას „მხცოვანი" გუნდი: „ლევანტე"

**შოთა არველაძის** „ლევანტე" წლეულს ესპანეთში ყველაზე „მხცოვანი" კლუბია. ლა ლიგაში სხვა გუნდს ვერ ნახავთ, სადაც თავი ამდენ ვეტერანს ერთად მოეყაროს. „ლევანტეს" შემადგენლობის საშუალო ასაკი 28,48 წელია, რითაც ვალენსიელები „ალმერიას" (24,9 წელი) და „ბილბაოს" (23,3) აშკარად უსწრებენ. ხნოვანებით „ლევანტესთან" შედარებით ახლოს „სევილიაა", რომლის შემადგენლობის საშუალო ასაკი 27,9 წელიწადია. ასევე ფრანკ რაიკარდის „ბარსელონა" (27,5), „მურსია" და „სარაგოსა" (ამათი საშუალო ასაკი 27,43 წელია).

„ლევანტე" საამსეზონოდ 13 ახალი ფეხბურთელით გაძლიერდა და მათ შორის არველაძემ, სავიომ, დავიდ კასტედომ, ბრუნო ჩირილომ, ვიკეირამ და რიგანომ 30 წელს უკვე გადააბიჯეს. ამათ ახლა დამხვდურები — ალვარო, დესკარგა, რუბიალესი, დამიანო ტომაზიც დაუმატეთ და დარწმუნდებით, რომ გუნდი „ჭაღარაა".

თუმცა, პრიმერაში ასაკი ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგალითად, შარშან „ბილბაოს" უფროსობამ ორიენტაცია ახალგაზრდა ფეხბურთელების მოედანზე შეშვებაზე გადაიტანა, რის შედეგადაც ბასკები უმაღლესიდან გავარდნას ძლივს გადაურჩნენ. ვეტერანებს კი მართალია, სისწრაფე და ჯილდოთა წყურვილი აკლიათ, მაგრამ ამ დანაკლისს მათი გამოცდილება ავსებს.

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ აბელ რესინომ, „ლევანტეს" მწვრთნელმა ერთ-ერთ მატჩში ეს შემადგენლობა დააყენა: სტორარი (30 წლის), დესკარგა (31), ალვარო (28), ჩირილო (30), დავიდი (33), ტომაზი (33), ვიკეირა (32), ეტიენი (27), სავიო (33), რიგანო (33) და არველაძე (34). ასე ხომ გუნდის საშუალო ასაკი 31,27 წელიწადი იქნება.

ისე, სენიორ რესინოს ცოტა ხნის წინ ფრიად საყურადღებო რამ უთქვამს: ახალგაზრდებს შეუძლიათ, რამდენიმე შეხვედრა მოიგონ, აი, ლა ლიგას კი ვეტერანები იგებენ".

**ლადო ხომერიკი**

## ჰეიდარი ნოემბრამდე

**„ბოლტონის"** ისლანდიელ ფორვარდ ჰეიდარ ჰელგუსონს ფეხზე ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც მაკედონიურ „რაბოტნიჩკისთან" უეფას თასის მატჩებს გამოტოვებს. ამ ზაფხულს „ფულემიდან" ნაყიდმა ფეხბურთელმა „ბოლტონში" მხოლოდ სამ შეხვედრაში ითამაშა. იგი სავარაუდოდ, ნოემბრისთვის გამოკეთდება.

## საუკეთესო აფონსო

**„ჰერენვენის"** ბრაზილიელი ფორვარდი აფონსო ალვეში ჰოლანდიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში მან „პსვ ეინდჰოვენის" ორ მოთამაშეს, ფილიპ კოკუს და ალექსს აჯობა. 26 წლის თავდამსხმელმა წინა სეზონში 31 მატჩში 34 გოლი გაიტანა. „ჰერენვენმა" აფონსო ალვეში „მალმიოდან" იყიდა.

## ბუღამ ჩოლაკს გაასწრო

**გასულ** კვირას „მანისასფორთან" მატჩში „გალათასარაის" ფორვარდმა ჰაქან შუქურმა 66-ე წუთზე გოლი გაიტანა, რომელიც მისთვის 241-ე გამოდგა თურქეთის ჩემპიონატში და ტანჯუ ჩოლაკის რეკორდი მოხსნა. „გალათასარაის" მაისურით „ბოსფორის ბუღას" 219 გაუტანია, მესამე მეგოლე თურქეთის ჩემპიონატის ისტორიაში კი მეთიონ ოქტაია. ჰაქან შუქური მსოფლიოს ჩემპიონატებზე უსწრაფესი გოლის ავტორიცაა — 2002-ში სამხრეთ კორეას მეცხრე წამზე გაუტანა.

## ლერემის სიკვდილი

**იოჰანესბურგში** ავარიის შედეგად სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფეხბურთელი გიფტ ლერემი გარდაიცვალა. 23 წლის ნახევარმცველი BMW-თი მიდიოდა, საჭე ველარ დაიმორჩილა და ავტომობილი რამდენჯერმე გადაბრუნდა. გიფტ ლერემი ცოტა ხნის წინ „ორლანდო პაირატსიდან" „მამელოდი სანდაუნსში" გადავიდა.

## პატიმარი ქომაგი

**დანიის** ნაკრების ქომაგს, რომლის სახელი და გვარი, რატომღაც რომ არ ხმაურდება, 30-დღიანი პირობითი სასჯელი შეუფარდეს. გეხსომებათ ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში მომხდარი ინციდენტი — დანია მეზობელ შვედეთს მასპინძლობდა, 3:3-ს აგებდა და ამით განაწყენებულმა ქომაგმაც შური მსაჯ ჰერბერტ ფანდელზე იძია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეს და კიდევ ერთი



რაიან გიგზი

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** რაიან გიგზთან კონტრაქტს კიდევ ერთი წლით გააგრძელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვეტერანი უელსელი ინგლისის ჩემპიონთა შორის შემდგომი სეზონის ბოლომდე დაჰყოფს.

ერთი სიტყვით, პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია, დარჩენილია დეტალები, რომელთა შესახებ მანჩესტერელი იურისტები ფეხბურთელთან მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ისაუბრებენ დინჯად და საფუძვლიანად.

33 წლის რაიან გიგზს „იუნაიტედის“ შემადგენლობაში 721 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ეს კი ბობი ჩარლტონის სარეკორდო შედეგს მხოლოდ და მხოლოდ 38 მატჩით ჩამორჩება. გიგზის ხელფასი კვირაში 75 ათასი გირვანქაა და ასეთადვე დარჩება.

რაიან გიგზი ის ფეხბურთელია, რომელმაც რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ გასულ სეზონში „მანჩესტერის“ გაჩემპიონებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და რომელზეც ალექს ფერგიუსონმა კლუბის მეპატრონეებს უთხრა, რომ ის ორ სეზონს კიდევ კარგად ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ პრემიერლიგის ვარსკვლავთა შორის რაიან გიგზი ყველაზე ტიტულოვანია. ის ინგლისის ცხრაგზის ჩემპიონია, მანჩესტერელთა შემადგენლობაში 141 გოლი აქვს გატანილი და ამ გოლებიდან 98 პრემიერლიგაზე მოდის.

მაგრამ, უელსელმა ისიც კარგად იცის, რომ „მანჩესტერში“ ახალი ფეხბურთელები მოდიან და მომავალი სწორედ მათ ხელშია.

„ბოლო წლებში ჩვენმა მწვრთნელმა ახალი ფეხბურთელები მოიყვანა, რადგან ის მომავალზე ზრუნავს. ბუნებრივია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხვალინდელი დღე სწორედ ამ ახალგაზრდებზე იქნება დაფუძნებული. კლუბი ერთ ადგილზე არ ჩერდება და არც უნდა გაჩერდეს“.

**ბაჩუნა ჭედია**

# ეს იყო 25 წლის წინ

**1982 წლის** მაისის ბოლოს „ბარსელონას“ მაშინდელმა პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა გუნდში დიეგო მარადონას ჩარიცხვა ოფიციალურად გამოაცხადა. კატალონიელებმა იმ დროის საზომებით რეკორდული თანხა, 780 მილიონი პესეტი გადაიხადეს. დიეგო კი 21 წლისა მივიდა „კამპ ნოუზე“ და სანამ არგენტინის ნაკრებისთვის უიღბლო ესპანურ მუნდიალზე მიიღებდა მონაწილეობას, „ბარსელონასთან“ ხელი ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა.

ტრავმებისა და კლუბის უფროსობასთან უთანხმოების გამო, მარადონამ მხოლოდ ორი სეზონი ითამაშა კატალონიის მთავარ გუნდში, თუმც ეს პერიოდი ინტენსიურობით გამოირჩეოდა. ყველაფერი კი 1982 წლის 4 სექტემბერს, „მესტალიაზე“ „ვალენსიასთან“ მატჩით დაიწყო. ბარსელონელებმა ის თამაში 1:2 წააგეს, გუშინ კი ზუსტად 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც „ელ რეის“ დებიუტი მოეწყო ესპანურ პრიმერაში.



დიეგო მარადონას „ბარსელონაში“ დებიუტი 1982 წელს ჰქონდა

დიეგო მარადონამ ევროპაში პირველად თასების თასის მერვედფინალურ მატჩში „ცრვენა ზვეზდასთან“ გაიბრწყინა და დიდებული გოლი შეაგდო. ისეთი, როგორებიც ადრე არგენტინაში გაჰქონდა ხოლმე. ესპანეთის ტელევიზიის ეთერში დიეგოს გოლს განუწყვეტლივ ატრიალებდნენ, ცხადზე ცხადი იყო — „ბარსელონამ“ გენიოსი იყიდა.

მაგრამ დიეგოც ადამიანია და ავადმყოფობის გამო თავის პირველ სეზონში მთელი ოთხი თვით ჩამოსცილდა „ბარსას“. როცა გამოჯანმრთელდა და გუნდს დაუბრუნდა, „კამპ ნოუზე“ მწვრთნელად ლუის სესარ მენოტი დახვდა, სახელგანთქმული სპეციალისტი, რომელმაც 17 წლის მარადონა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებში არ შეიყვანა, თუმცა ძველი მოშულარნი „ბარსას“ გულისთვის შერიგდნენ და კატალონიელებმაც „კოპა დელ რეი“ და ლა ლიგის თასები მოიგეს — ორჯერვე მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს.

დიეგოს პირველი სეზონი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გატანილი ზღაპრული გოლით დასრულდა. პირინეებზე არგენტინელისგან შემდეგ წელსაც საოცრებებს ელოდნენ, თუმც იმ სეზონში მარადონას ბედი უკუღმა დატრიალდა. მეოთხე ტურში მარადონამ ბასკი გოიკოეჩეას მხეცობის წყალობით უმძიმესი ტრავმა მიიღო და სამი თვე ლაზარეთში გაატარა. დაბრუნებულს კლემენტეს „ბილბაომ“ საბოლოოდ მოუშალა ნერვები და მარადონამ და მისმა ბარსელონელმა ძმაბიჭებმა თასის ფინალში ბასკებთან ისე იჩხუბეს, მათ შესარიგებლად ესპანეთის მეფის, დონ ხუან კარლოს პრიმეროს ჩარევა გახდა საჭირო...

ბოლოს კი ესპანეთზე გულაცრუებული „ელ რეი“ 1984 წლის 30 ივნისს იტალიურ „ნაპოლიში“ გადავიდა.

**ლადო ხომერიკი**



# მფრინავი ჰოლანდიელის აზრები

## კრუიფს ბარსა მოსწონს, მაგრამ...

**იოჰან კრუიფმა** განაცხადა, „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ მიერ „ბილბაოს“ დამარცხება კატალონიური გუნდისთვის დროებითი წამალი იყოო.

„ბასკებთან „ბარსა“ უფრო ძლიერი გამოჩნდა, ვიდრე სინამდვილეშია. ეს იმიტომ, რომ „ატლეტიკი“ იდეალური მეტოქეა, რათა მასთან თამაშში შენი სისუსტეები მოხერხებულად დაფარო“ — ეწერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ სტატიაში, რომელიც ესპანურ „ელ პერიოდიკოში“ გამოქვეყნდა.

ხსენებული შეხვედრა გეხსომებათ, კატალონიურმა გუნდმა 3:1 მოიგო, ხოლო დიდი იოჰანი თავისი ყოფილი გუნდის მიმართ მხოლოდ კრიტიკული არ ყოფილა: „საერთო ჯამში, ეს გამარჯვება ყველასთვის კარგია. გუნდმა დრო მოიგო და ინჩასებმა გული მოიოხეს — სანტანდერის „რასინგთან“ ნათამაშევი ულიმღამო 0:0 რამდეიმე წუთით დაავიწყდათ“.

ჰოლანიდელი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მწვრთნელისგან უფრო მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდებათ.

„ახალგაზრდებს მეტი სათამაშო წუთები რომ მივცეთ, ისინი თავს უფრო გამოიჩენენ და გუნდსაც მეტ სარგებელს მოუტანენ. მაგალითად, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ჯოვანი დოს სანტოსს უფრო დიდხანს ვათამაშებდი“ — თვლის კრუიფი და ამბობს, რომ საუკეთესოების შერჩევა მათი ასაკის მიხედვით არ უნდა ხდებოდეს: „მართალია, ჯოვანი ნორჩი ფეხბურთელია, მაგრამ უკვე ყველაფერი იცის და შესანიშნავად თამაშობს. თუ ასეა, ძირითადში თავის გამოჩენის შანსი რატომ არ უნდა მივცეთ?“

კატალონიური გრანდის „გურუმ“ სამუელ ეტოოს ახლახან მიღებული ტრავმაც გაიხსენა: „ფეხბურთელის ტრავმა გუნდისთვის ყოველთვის საწყენია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები ეტოოს შემთხვევაში საპირისპიროდ ფიქრობენ. კამერუნელი გოლზე დაგეშილი ფორვარდია“.

თუმცა კრუიფმა ისიც აღნიშნა, გასულ წელთან შედარებით „ბარსას“ სამი ახალი ფორვარდი (ანრი, ჯოვანი დოს სანტოსი და ბოიან კრკიჩი) ჰყავს და როტაციებს უფრო მეტად საჭიროებს.

**ლადო ხომერიკი**

# აკურთხე, მამაო!

**„ლაციომ“** ჯენოელ მოძღვარს უხმო ფეხბურთელების, გასახდელების და ბაზის საკურთხებლად. ექიმები ველარ აუდიან ტრავმირებული მოთამაშეების მკურნალობას და კლუბმა ესლა მოიფიქრა. ამჟამად „ლაციოში“ შვიდი დაშავებული ფეხბურთელია.



კლაუდიო ლოტიტო

სერია A-ში ორი ტური მიილია და რომაელები „ტორინოს“ (2:2) და „სამპდორიას“ (0:0) დაუზავდნენ, წინ კი ჩემპიონთა ლიგა ელით. მწვრთნელმა დელიო როსიმ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა დაიწუნა. სპორტული დირექტორი ვალტერ საბატინი გადადგომას აპირებდა, რადგან არგენტინელი მეკარის, ხუან პაბლო კარიცოს ტრანსფერი ერთი თვის განმავლობაში ვერ მოაგვარა და ამიტომ კარში 43 წლის მარკო ბალოტა დგას.

„ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო კი ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგადაა და სანერვიულო არაფერია.

„ცხრა ფეხბურთელი ვიყიდეთ და გუნდი დაკომპლექტებულია — თქვა ლოტიტომ — ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკის სისწორეზე შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ და საამისოდ ჯერ დრო უნდა გავიდეს. ჩვენ ანტონიო კასანოს შეძენაც შევძელით, მაგრამ სენსაციური გარიგება არ გვჭირდებოდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უტიფრის მცირე შანსი

**სტივ მაკლარენი** ინგლისის ნაკრების თანამდებობიდან იმ შემთხვევაშიც არ წავა, გუნდმა ისრაელთანაც რომ წააგოს და რუსეთთანაც.

მწვრთნელი, რომელსაც ასეთი განცხადების შემდეგ ინგლისელმა ჟურნალისტებმა უტიფარი უწოდეს, კიდევ იმას ამბობს, რომ კევინ კიგანივით არავითარ შემთხვევაში არ მოიქცევა — კიგანი თავის დროზე გერმანიასთან დამარცხების შემდეგ გასახდელშივე გადადგა. შეგახსენებთ, მაკლარენის გუნდმაც სწორედ ახლახან წააგო გერმანელებთან, ოღონდ კიგანისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში კი არა, ამხანაგურ მატჩში. სხვათაშორის, რაკილა სიტყვამ მოიტანა, მოგახსენებთ, რომ კიგანმა გერმანიასთან რომ წააგო, 2000 წლის 7 ოქტომბერი იდგა — ეს იყო უკანასკნელი მატჩი ძველ „უემბლიზე".

ახლა კი, 8 და 12 სექტემბერს ინგლისელებს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისრაელთან და რუსეთთან ელით ევრო 2008-ის შესარჩევი შეხვედრები, რომელთაც „ჩელსისა" და ეროვნული გუნდის კაპიტანმა ჯონ ტერიმ აუცილებლად მოსაგები უწოდა, თუმცა ნაკრების ბანაკის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „სანს" განუცხადა:

„ინგლისმა ამ ორ შეხვედრაში რომც წააგოს, თეორიული შანსი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისა კიდევ რჩება. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მცირეა ეს შანსი, მთავარია, რომ ის არსებობს და მის გამო სტივი მუშაობას განაგრძობს. სტივი ის კაცი არ არის, საქმეს შუაში რომ მიატოვებს".

ცნობისთვის: სტივ მაკლარენის ხელფასი კვირაში 45 ათასი გირვანქაა, ხოლო მისი კონტრაქტი ძალაში 2010 წლამდეა, თუმცა ამ კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ის მხოლოდ ერთი წლის ხელფასს ანუ დაახლოებით 2,3 მილიონს უნდა დასჯერდეს.

ზემოთ კევინ კიგანი ვახსენეთ. მოგეხსენებათ, მის მერე ინგლისელთა გუნდს სათავეში დღეს უკვე „მანჩესტერ სიტის" თავკაცი სვენ-გორან ერიკსონი ჩაუდგა. ერიკსონის შედეგები ასეთი გახლდათ: 2002 და 2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა, რაც 2006-ში თანამდებობის დატოვებად და ადგილის სწორედ სტივ მაკლარენისთვის დათმობად დაუჯდა.

თუმცა, რაც მაკლარენი ნაკრების მწვრთნელია, მისი მისამართით მხოლოდ კრიტიკა ისმის და ამის გამოსწორება, ალბათ, ისრაელთან და რუსეთთან გამარჯვებებით თუ შეიძლება, ოღონდ ერთია, ინგლისში ძალიან ბევრი წამყვანი მოთამაშეა დაშავებული — უეინ რუნი, დევიდ ბექამი, ფრენკ ლამპარდი. ამას ემატება პიტერ კრაუჩის დისკვალიფიკაციაც.

როგორც ამბობენ, მაკლარენი აუცილებლად ათამაშებს „ლივერპულის" კაპიტანს სტივენ ჯერარდს, მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირა ფეხის თითის მოტეხილობის გამო გააცდინა.



სტივ მაკლარენმა ინგლისელებს კევინ კიგანი გაახსენა

**ბაბუნა ძიძია**

# ნეტავ მაკლარენი არ გატეილორდეს





იან რაიტის აზრით, ყველაზე ცუდი ინგლისის ნაკრები გრემ ტეილორს ჰყავდა

**ინგლისში უჩვეულო თემაზე ალაპარაკდნენ: მათი ნაკრები შესაძლოა, ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდეს. მოგეხსენებათ, 8 და 12 სექტემბერს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს ისრაელთან და რუსეთთან აქვს შეხვედრები, რომელთა შედეგიც საბედისწერო კითხვას პასუხს გასცემს. ამავე თემას ეხება ყოფილი ვარსკვლავის, ბოლოხანს „სანის" მესვეტის იან რაიტის განსჯანიც**

**„თავად** გახლდით ინგლისის იმ ნაკრების წევრი, რომელიც ამ 14 წლის წინ შესარჩევი ჯგუფიდან ვერ გავიდა და ძალიან არ მინდა, სტივ მაკლარენის გუნდმა იგივე განიცადოს, რაც მაშინ ჩვენ განვიცადეთ — წერს რაიტი — რასაკვირველია, კარიერაში ბევრჯერ გავმწარებულვარ, მაგრამ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენა ერთ-ერთი ყველაზე მწარე მოგონებაა. მახსოვს, ჰოლანდიასთან რომ წავაგეთ, გასახდელში რა საშინელებაც ხდებოდა. ეს ნამდვილი ტრაგედია გახლდათ, მით უფრო, რომ დღევანდელი ნაკრებისა არ იყოს, ჩვენც ვიცოდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად საკმარისი ოსტატობა ნამდვილად გვქონდა.

ახლა, ნამდვილად არ დავიწყებ მარჩიელობას, თუ რა შანსი აქვს ინგლისის გუნდს ევრო 2008-ზე გასასვლელად, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ შაბათს ისრაელთან შეხვედრას შიშით ვუყურებ. ეს ის თამაშია, რომელიც ინგლისმა აუცილებლად უნდა მოიგოს.

ინგლისის ნაკრები ევრო 2008-ზე რომ ვერ მოხვდეს, სტივ მაკლარენს ჩვენი 14 წლის წინანდელი მწვრთნელის, გრემ ტეილორის მსგავსად დაიმახსოვრებენ, კაცს, რომლის სახელთანაც ყველაზე დიდი წარუმატებლობაა დაკავშირებული. ინგლისის ნაკრების მწვრთნელებს საერთოდ ამის მიხედვით აფასებენ და ის მწვრთნელი, რომელსაც გუნდი ამა თუ იმ დიდი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე ვერ გაჰყავს, დაცინვის ობიექტი ხდება.

და კიდევ, ინგლისი ევრო 2008-ზე რომ ვერ მოხვდეს, დაიწყება გაუთავებელი ლაპარაკი მათ ზღვარგადასულ ხელფასებზე, მათ განებივრებულ ცოლებსა და მეგობარ გოგონებზე, იმაზე, რომ მათ სამშობლო არ უყვართ და სხვა, მე კი ამას ვერ ვიტან, რადგან არც ერთი პუნქტისა არ მჯერა.

ეს ნათქვამები ისევე მაღიზიანებს, როგორც ის გულშემატკივრები, რომლებიც არ მალავენ, რომ ინგლისის ნაკრების ბედი არ აღარდებთ და მხოლოდ თავიანთი საყვარელი კლუბების ქომაგობაზე არიან გადართულები. საინტერესოა, ეს ხალხი იგივეს იტყვის თუ არა, გაისად, ავსტრიასა და შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატი რომ გახურდება, ინგლისი კი იქ არ იქნება?

იცით, რას გეტყვით? მაპატიეთ ამ მოსაზრებისთვის, მაგრამ ის 1994 წლის ჩემპიონატი არ ვარგოდა, რადგან ის ამერიკაში ჩატარდა, ამერიკაში კი ფეხბურთისა არაფერი გაეგებათ, თუმცა მე ძალიან მიყვარს, როდესაც დიდი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე მთელი ქვეყანა ერთ მუშტად იკვრება და თავის გუნდს ქომაგობს. ამ შეჯიბრებებზე დიდებული ატმოსფერო იქმნება და არ მინდა, ეს ყველაფერი ინგლისელების გარეშე მოხდეს.

რაც შეეხება გრემ ტეილორს, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ის ჩემი საყვარელი ადამიანი ნამდვილად არ იყო. ერთხელ მან ნაკრებს 18 თვით მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ჩამომაშორა, რომ მალაიზიასა და ახალ ზელანდიაში ჩატარებული ტურნეს შემდეგ თვითმფრინავში პოლ პარკერს გავეხუმრე, ამდენი ჯდომისგან ზურგზე წყლული გამიჩნდა-მეთქი.

მე არც ის მომწონდა, როგორ მექცეოდა ტეილორი პირადად მე და არც ის, როგორ მართავდა გუნდს. მან ზოგიერთი ფეხბურთელის დამცირება და დაკნინება იცოდა, მაგრამ მწვრთნელისადმი ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩემი ქვეყნის სახელით თამაშის შესაძლებლობა როგორც კი მომეცემოდა, ვთამაშობდი.

ტეილორმა ნაკრებში მაშინღა დამაბრუნა, როდესაც „არსენალში" გადავედი და იმდენი გოლის გატანა დავიწყე, რომ ჩემი უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა.

ცხადია, ის მეტწილად სათადარიგოთა სკამზე მსვამდა და თამაშში შეცვლაზე შევყავდი ხოლმე, მაგრამ პოლონეთთან სწორედ შეცვლაზე შესულმა გავათანაბრე ანგარიში და ის დღე დღემდე არ ამომდის გონებიდან.

მაგრამ როტერდამში, ჰოლანდიელების წინააღმდეგ ჩემი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო თამაში ჩავატარე — რონალდ კუმანმა, რომელიც ორიოდ წუთით ადრე აშკარად გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა დაინდო, გოლი გაგვიტანა.

მაშინ ჩვენს გასახდელში, როგორც გითხარით, საშინელი განწყობა სუფევდა. ტეილორი მალევე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. იმედი მაქვს, მაკლარენს იგივე არ ელის. მართალია, რაც ნაკრების მწვრთნელია, მან უამრავი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მე მას მაინც იმის მიხედვით შევაფასებ, გაიყვანს ინგლისის ეროვნულ გუნდს ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე თუ ვერა".

**ბაბუნა ძიძია**


არიენ რობენი

AFP

# ისიამოვნე ფეხბურთით, ითამაშე რეალში

**არიენ რობენმა** თქვა, „ჩელსიდან“ მადრიდის „რეალში“ იმიტომ გავიქეცი, რომ ლამაზი ფეხბურთის თამაში მინდოდაო. როგორც ამბობენ, მისი ეს ნათქვამი ლონდონური კლუბის რუსი მეპატრონის, რომან აბრამოვიჩის წისქვილზე ასხამს წყალს — თავის დროზე, აბრამოვიჩს ყოზე მაურინიუსთვის უბრძანებია, ცოტა ესთეტიკურ მხარესაც მიხედე, თორემ ულამაზო მოგებები არ ვარგაო, თუმც რაღა მოგებები, პრემიერლიგის ბოლო ტურში „ჩელსიმ“ „ასტონ ვილასთან“ სულაც წააგო და მთელმა მსოფლიომ დაინახა, მეორე გოლის გაშვების შემდეგ როგორ წავიდა აბრამოვიჩი სტადიონიდან.

და აი, ასეთ დროს ქვეყნდება რობენის ინტერვიუ, სადაც 23 წლის ჰოლანდიელი გარემარბი, რომელიც „ლურჯებმა“ „რეალს“ 24,5 მილიონ გირვანქად მიყიდეს, მაურინიუს ირიბად აკრიტიკებს.

„ვატყობ, რომ აქ მეტ სიამოვნებას მივიღებ, რადგან თამაშის ის სტილი, რომელსაც „რეალი“ მისდევს, ჩემთან გაცილებით ახლოსაა. აქ, მწვრთნელმა მითხრა, რომ მისი მიზანი შემტევი, ლამაზი ფეხბურთის თამაშია, მე კი სწორედ ეს მომწონს და მიზიდავს“.

და ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურში „რეალმა“ „ვილიარეალს“ 5:0 სწორედ ისეთი ფეხბურთით მოუგო, როგორსაც აბრამოვიჩი მაურინიუსგან ითხოვდა.

საინტერესოა, რომ არიენ რობენს „რეალის“ ძირითადში ჯერ არ უთამაშია, რადგან მუხლის პრობლემის შემდეგ რეაბილიტაციისა და ფორმაში შესვლისთვის დრო სჭირდება, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ როგორც კი მოედანზე ფეხს შედგამს, ნამდვილი შოუ დაიწყება.

„იმედი მაქვს, რომ მე „რეალს“ გამოვადგები. მარცხენა გარემარბი გახლავართ და გოლების გატანაც მევალება, ჰოდა, იმედი მაქვს, რომ იმედს არ გავუცრუებ.

მწვრთნელებთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჩემთვის სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი ცოტა უფრო ხანგრძლივი იქნება, რაც საფუძვლიანად მომზადებისა და ახალ გარემოსთან შეგუების საშუალებას მომცემს. როდესაც მომზადებას დავასრულებ და მზად ვიქნები, ყველას ვაჩვენებ, როგორი ფეხბურთელიც ვარ.

სამწუხაროდ, შარშან ცუდი წელიწადი მქონდა, ტრავმამ რიტმიდან ამომაგდო და მოსამზადებლად ეს დამატებითი დროც ამიტომ დამჭირდა. თავიდან „ჩელსისთან“ ერთად დავიწყე სეზონისთვის მომზადება, მაგრამ საქმეები კარგად არ ამეწყო. მერედა, როდესაც კაცმა არ იცი, გუნდში რჩები თუ გადადიხარ, ბუნებრივია, ცხადია, ღელავ და ხეირიანად ვერ ემზადები.

**ბაბუნა ძიდია**

# პელეს ბურთი

**ბრაზილიური** „გლობოესპორტეს“ ცნობით, ბურთს, რომლითაც პელემ თავისი მეათასე გოლი გაიტანა, მალე აუქციონზე გაყიდიან.

ლეგენდარულმა კაცმა თავის კარიერაში მეათასე გოლი 1969 წლის 19 ნოემბერს, „ვასკო დუ გამას“ კარში შეაგდო. ეს ბურთი დღემდე ბრაზილიელ იმპრესარიოსა და ტელეწამყვან რობერტო ჟუსტუსს ეკუთვნოდა. სეუ რობერტომაც რელიქვია თავის დროზე აუქციონზე ჩაიგდო ხელში — 2005 წელს მასში 60 ათასი ბრაზილიური რეალი (30 ათასი დოლარი) გადაიხადა.

ახალი აუქციონი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გაიმართება. 2009 წლისთვის კი პელეს პირადი მუზეუმის ოფიციალური გახსნაც იგეგ-



მება სან პაულუში. ეს იქნება ერთი პიროვნებისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ყველაზე დიდი მუზეუმი.

**ლადო ხომერიკი**

# ტიაგო მოტა: ჩიკის ჩიტი ვერ ვიქნებოდი



მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკე სერეზომ გუნდის ახალ მოთამაშეს ტიაგო მოტას მძლავრი ფეხბურთელი უწოდა და მედიასთან შეხვედრაში საქებარი სიტყვები არ დაიშურა. „ტიაგო მოტაში უზარმაზარი ფიზიკური ძალა ბრწყინვალე ტექნიკას ეხამება“ — აღნიშნა სენიორ სერეზომ. მადრიდული „ასი“ კი ექსბარსელონელ მოტას „ატლეტიკოში“ მისი პრეზენტაციის შემდეგ ესაუბრა

— რა იგრძენით, როდესაც „ატლეტიკოს“ მაისურა პირველად მოირგეთ?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო გუნდის უფროსობას ჩემდამი გამოჩენილი გულისხმიერებისთვის. მათ ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი გავმხდარიყავი. მოხიბლული ვარ და ძალიან მიხარია, ამ კლუბში რომ მოვედი და ახლა მხოლოდ სამუშაოზე ვფიქრობ. „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელებსა და გულშემატკივრებს ნდობისთვის მადლობა კარგი თამაშით უნდა გადავუხადო.

— „მალიორკასთან“ თქვენი ახალი გუნდის თამაშს თვალყურს ტრიბუნიდან ადევნებდით. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?

— რა გითხრათ... პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია, გუნდის გასახდელში გამეფებული თავისებური ატმოსფერო იყო. მატჩამდე ბიჭებთან გასახდელში ჩავედი და მათმა საოცარმა განწყობამ ჩემზე ჯადოსნურად იმოქმედა. „ბარსელონაში“ ვისწავლე, რომ გუნდში მტკიცე და მეგობრული გარემო გამარჯვების საწინდარია. თუ თამაშის დროს ამ გარემოს მოედანზე გადატანას შეძლებ, დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება. „ატლეტიკოს“ შემადგენლობის ერთსულოვნება ყველასთვის კარგი მაგალითია და სამუშაოდ განგაწყობს.

— გუნდში „სარაგოსაში“ წასული პეტერ ლუქსენის შემცვლელად მოხვედით. როგორ ფიქრობთ, ტიაგო მოტა „ატლეტიკოს“ რითი გააძლიერებს? ასევე საინტერესოა იმის გაგება, თქვენ და ლუქსენი ერთმანეთისგან რითი განსხვავდებით...

— მოვედი, რათა გუნდს ჩვეულ ადგილზე, ნახევარდაცვაში თამაშით დავეხმარო. აი, შედარებები კი არ მიყვარს, რადგან ამას არავითარი შედეგი არ მოაქვს და სხვებთან დატოლების წინააღმდეგი ვარ. პეტერ ლუქსენი ძლიერი ფეხბურთელია, ეს მან „ატლეტიკოში“ დაამტკიცა, მაგრამ მე მისგან განვსხვავდები. სულ თავიდან რომ მოვყვეთ, ლუქსენი ბურთს მარჯვენა ფეხით ურტყამს, მე კი ცაცია ვარ. მე შეტევებში ჩართვა მიყვარს, ლუქსენზე კი დანამდვილებით ვერ გეტყვით, იერიშების მოყვარულია, თუ არა. თითოეულ ფეხბურთელს თამაშის საკუთარი სტილი, მანერა აქვს და შედარება ძალიან ძნელია.

— როდის გადაწყვიტეთ, რომ „ბარსას“ დატოვებდით და სათამაშოდ „ატლეტიკოში წამოხვიდოდით?

— „ბარსაში“ საკმაოდ რთულ ვითარებაში ვიყავი. უკვე იმ ასაკში ვარ, რომ კიდევ ერთი წლით უქმად გაჩერება აღარ შემეძლო. იცით, რომ სათადარიგოებში ვიყავი და ეს ნამდვილად არ არის სასიამოვნო. მადრიდელებმა კი მომძებნეს, გუნდის სამომავლო პროექტის არსი ამიხსნეს და მეც კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, ამ გუნდს მიზნის მიღწევაში დავეხმარები. „ვისენტე კალდერონზე“ ყველაფერი მომწონს და ახლა მხოლოდ ის არის დარჩენილი, რომ „ატლეტიკოს“ ოცნების შენობას ერთი აგური მეც შევმატო და სურვილი რეალობად ვაქციოთ.

— უცნაურია, თქვენ მხოლოდ 25 წლის ხართ და „ატლეტიკოსთან“ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე დათანხმდით. ამით იმის თქმა გინდოდათ, რომ ერთი წელიწადი გამოსაცდელი პერიოდი იქნება და სერიოზულ კონტრაქტზე სეზონის ბოლოს იზრუნებთ?

— კონტრაქტით „ბარსელონაში“ კიდევ ერთი წლით უნდა მეთამაშა. ეს არის პერიოდი, რომლის დროსაც უნდა დავამტკიცო, რა შემიძლია. „ატლეტიკო“ და მე ორმხრივ შეთანხმებამდე მივედით. კონტრაქტის პირობებით ყველა კმაყოფილია. წინ კი საკმაო დრო გვაქვს ერთმანეთის უკეთ გასაცნობად.

— სხვა კლუბებიდანაც მიიღეთ მნიშვნელოვანი შემოთავაზებები. მაგალითად, იტალიური „რომადან“. „ატლეტიკო“ რატომ არჩიეთ?

— პრიმერადივიზიონს ძალიან შევეჩვიე, ესპანეთის ჩემპიონატს კარგად ვიცნობ და ყველა იმ გუნდსაც, რომელიც აქ თამაშობს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის. თანაც „ატლეტიკო“ ევროტურნირებს დაუბრუნდა. როგორც გითხარით, მადრიდული კლუბის ახალი სპორტული პროექტი მისალებია ჩემთვის.

— მას შემდეგ, რაც „ბარსას“ უფროსობამ გამოაცხადა, რომ სამომავლოდ თქვენთან თანამშრომლობას აღარ აპირებდა, კატალონიური გუნდის სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინთან ურთიერთობა დაგეძაბათ. რთული დღეები გადაიტანეთ?

— რაც წარსულში მოხდა, არ დაიმალება და ხალხი ამას მაინც გაიგებს. ყველამ იცის, რომ არც ჩიკი ბეგირისტაინმა და არც „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ჩემთან საქმეზე პირდაპირ საუბარი ერთხელაც არ ისურვეს. ფრანკ რაიკარდი კი სხვანაირად მოიქცა და ამისთვის მისი ძალიან მადლობელი ვარ. ყველაფერს მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მეუბნებოდა. ამ ნდობისა და გულწრფელობისთვის მას ძალიან ვაფასებ. დანარჩენი კი, რაც იყო, გასახსენებლად არ ღირს. საწყენია, რომ ფეხბურთი, ისევე როგორც ცხოვრება, ხშირად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და აღარ მინდა, წარსულზე ბევრი ვიფიქრო. დღეს „ატლეტიკოში“ ვთამაშობ, გუნდში, რომელსაც წარმატების მიღწევის დიდი შანსი აქვს. გულწრფელად ვთვლი, რომ ცვლილება მჭირდებოდა, ახალ კლუბში უნდა გადავსულიყავი, რათა რეალურად დამემტკიცებინა, რასაც წარმოვადგენ. „ატლეტიკო“ საამისოდ საუკეთესო სარბიელია.

— საუკეთესო ფორმაში ხართ, რათა თამაში ახლა შეძლოთ, თუ ძალ-ღონის მოსაკრებად დრო გჭირდებათ?

— თავს მშვენივრად ვგრძნობ. ასე რომ, მოედანზე გასასვლელად ხელს არაფერი მიშლის. მოსამზადებელი პერიოდი „ბარსელონასთან“ ერთად გავიარე და ამხანაგურ მატჩებშიც მივიღე მონაწილეობა — „გამპერის თასზე“ ვითამაშე მილანის „ინტერის“ წინააღმდეგ. საბრძოლო ფორმაში ვარ და ველოდები, ატლეტიკოს“ მწვრთნელი ხავიერ აგირე ჩემს მოედანზე გაყვანას როდის გადაწყვეტს. სხვა საქმეა, მუშაობის მეთოდთან და სტილთან გაცნობა. საჭიროა, ამ ყველაფერს მალე მივეჩვიო და გუნდთან ადაპტაციის პროცესი, რაც შეძლება, სწრაფად გავიარო.

— „ბარსელონაში“ თქვენი მიზანი ყველა სეზონში ჯილდოების მოგება იყო. „ატლეტიკოშიც“ იმავე მიზნით მოხვედით?

— ყველა გუნდს გამარჯვება სურს, მაგრამ ამ მიზანს ყოველდღიური შეუპოვარი შრომის შედეგად თუ მივაღწევთ. „ბარსაში“ ასე ვფიქრობდი და არა მგონია, „ატლეტიკოში“ განსხვავებულად მოვიქცე. „კამპ ნოუზე“ უამრავი ტიტულები მოვიგეთ, მაგრამ ფეხი მიწაზე მაინც მყარად გვედგა და ღრუბლებში არ დავფრინავდით. ვფიქრობდით იმის შესახებ, მომავალ მატჩში რა უნდა გვეკეთებინა და არა იმაზე, რამდენიმე თვის შემდეგ რა მოხდებოდა. ფეხბურთელი სინამდვილეს არასოდეს უნდა მოსწყდეს.



# ა-ვილიარეალი ძაღლი

## რიკელმეს არც ათამაშებენ და არც ბოკას აძლევენ

**ხუან რომან რიკელმე** ისევ „ვილიარეალში" რჩება. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ „ბოკა ხუნიორსის" თხოვნით საამსეზონო ტრანსფერების რეგისტრაცია ორჯერ გადაავადა, რათა კლუბს რიკელმეს ყიდვა შესძლებოდა, თუმცა ამაოდ — „ვილიარეალი" არგენტინელის გასხვისებაზე უარს აცხადებს.

„ბოკამ" „ყვითლებს" რიკელმეს სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო და ნახევარმცველი ევერ ბანეგა ან თავდამსხმელი როდრიგო პალასიო შესთავაზა. მიუხედავად ამისა, „ვილიარეალი" უარზეა და არგენტინელებმაც ზამთრის სატრანსფერო ბაზრამდე ხელი ჩაიქნიეს.

გეხსომებათ, რიკელმე გასულ სეზონში იჯარით თამაშობდა თავის მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში" და არგენტინელებს 2007 წლის ლიბერტადორესის თასი მოაგებინა. „რომი" აცხადებდა, რომ თუ „ბოკაში" წლეულს მისი ტრანსფერი გაიჩარხებოდა, თანახმა იყო, „ლა ბონბონერაზე" ერთი სეზონი უფასოდ გარჯილიყო.

არსებობს მეორე ვერსიაც: ესპანეთში ამბობენ, რომ რიკელმემ „ბოკას" მესვეურებს არგენტინაში დაბრუნების შემთხვევაში წელიწადში 9 მილიონი ევრო მოსთხოვა, ანუ ის ჯამაგირი, რასაც „ვილიარეალში" იღებს. ვარსკვლავის უსაშველო მადით დანაღვლიანებულ არგენტინელებსაც „ყვითლებთან" სატრანსფერო ჭიდილი დროებით გადაუფიქრებიათ.

რიკელმე „ვილიარეალის" მწვრთნელ მანუელ პელეგრინის სამომავლო გეგმებში აღარ შედის. ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის თამაშს მადრიდის „რეალთან" რიკელმე ტრიბუნიდან უყურებდა, კასტილიელებმა „ვილიარეალი" მისსავე „ელ მადრიგალზე" 5:0 გაანადგურეს, ხუან რომანი კი მოედანზე არ გამოჩენილა.

არგენტინული გაზეთები წერენ, რა უბედურებაა, „ვილიარეალი" რიკელმეს არ ათამაშებს, უზარმაზარ ჯამაგირს უხდის და „ბოკას" კიდევ თორმეტმილიონიან შეთავაზებაზე უარს ეუბნებაო.

შეგახსენებთ, რომ რიკელმეს შეძენა წლეულს მადრიდის „ატლეტიკოსაც" სურდა.

**ლადო ხომერიკი**

# სად ოქტომბერი და სად დეკემბერი?

## ბალაკი ლიგის გარეთ

**გერმანელი** ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი „ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგის 25-კაციან განაცხადში არ შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მომავალი ამ გუნდში დიდ ეჭვს იწვევს.



AFP

ამ ისტორიაში ყველაზე საინტრიგო მომენტი ის გახლავთ, რომ „ლურჯების" განცხადებით, ბალაკი დეკემბრამდე ვერ გამოჯანმრთელდება და ოცდახუთ კაცში ამიტომაც ვერ მოხვდა, თავად ნახევარმცველი კი ამბობს, რომ ბურთის საგორებლად ოქტომბერშივე მზად აქნება.

დახეთ, რა ხდება: თუ „ჩელსი" ბალაკს ჩემპიონთა ლიგაში არ ათამაშებს, მას იანვრიდან ამავე შეჯიბრებაში სხვა გუნდის შემადგენლობაში მიეცემა თამაშის საშუალება — ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლონდონელები გაყიდვას უპირებენ?

შეგახსენებთ, რომ გერმანელს „ჩელსიში" კვირაში 130 ათასი გირვანქა აქვს დანიშნული, რაც, ალბათ, ართამაშისთვის საკმაოდ კარგი ანაზღაურება უნდა იყოს. რაც შეეხება კლუბისა და ბალაკის განსხვავებულ შეხედულებებს, მისი გამოჯანმრთელების თარიღთან დაკავშირებით, „ჩელსი" აცხადებს, რომ გერმანელი ნახევარმცველი დეკემბრის შუამდე ანუ ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ვერ ითამაშებს, არადა, ის 13 ოქტომბერს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ აპირებს თამაშს.

ბუნდესნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი:

„მიხაელს ტრავმა მოუშუშდა. მისი ფეხი დღითიდღე უკეთეს და უკეთეს დღეშია. კარგი იქნება, თუ ის მთელი სეზონისთვის ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით კარგ საფუძველს ჩაიყრის. რასაკვირველია, როდის დაუბრუნდება მოედანს, ეს მისი კლუბის მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ძალიან კარგი იქნება, 13 ოქტომბერს ირლანდიელებთან მწყობრში თუ იქნება".

**ბაჩუნა ძიდია**

## იტალია

### სერია A. II ტური

**მილანი 1:1 ფიორენტინა**

1:0 კაკა (27პ), 1:1 მუტუ (56)

მილანი: დიდა, ოდო (კაფუ 61), ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი (ემერსონი 77), ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (ინძაგი 65)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, დონადელი (კუზმანოვიჩი 57), ლივერანი, გობი, სანტანა (სემიოლი 62), მუტუ, პაცინი (ვიერი 62)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: უიფალუში, ლივერანი, გატუზო, სემიოლი

მსაჯი: ფარინა

65 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| კალიარი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| პალერმო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ტორინო | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| რეჯინა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კატანია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ჯენოა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| უდინეზე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| სიენა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ლივორნო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 0 |

### სერია B. II ტური

**სპეცია 0:2 ბოლონია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბრეშა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლეჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| კიევო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ალბინოლეფე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| რავენა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რიმინი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მანტოვა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მესინა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ასკოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ფროზინონე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პიზა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტრევიზო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ჩეზენა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვიჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტრიესტინა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ბარი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| აველინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| სპეცია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| პიაჩენცა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| გროსეტო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი. IV ტური

**ბლექპული 2:1 ჰალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქოვენთრი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| უოტფორდი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 9 |
| ბრისტოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| სკანთორპი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| იფსვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ვულვზი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ბლექპული | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| კარდიფი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| საუთჰემპტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| ბარნლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| კოლჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 5 |
| ლესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| პლიმუთი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| კრ. პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| შეფილდი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ბარნსლი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:10 | 4 |
| ქუინზ პარკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| პრესტონი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| უენსდი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. V ტური

**მოზერუელი 0:2 ჰართსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 5 | 5 | 0 | 0 | 18:3 | 15 |
| სელტიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 17:3 | 13 |
| ჰიბერნიანი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 |
| დანდი იუნ. | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| მოზერუელი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| კილმარნოკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| სენტ მირენი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:9 | 6 |
| აბერდინი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ჰართსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ფოლკირკი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:14 | 3 |
| გრეტნა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:15 | 1 |
| ინვერნესი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:11 | 0 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. V ტური

**ბოჰემიანსი 2:2 ჟიჟკოვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 5 | 5 | 0 | 0 | 9:3 | 15 |
| ბანიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 |
| სპარტა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ტეპლიცე | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 12 |
| ზლინი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| პლზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ბოლესლავი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| იაბლონეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| სიგმა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| ბრნო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჟიჟკოვი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:13 | 4 |
| კლადნო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ბოჰემიანსი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | 3 |
| მოსტი | 5 | 0 | 2 | 3 | 9:14 | 2 |
| ლიბერეცი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | 1 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XIX ტური

**ინტერი 1:1 ტამპერე**
**კტპ 1:0 მიუპა**
**ვაასა 0:0 ჰაკა**
**ჰიკ 0:1 ჰონკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 17 | 11 | 4 | 2 | 30:18 | 37 |
| ჰაკა | 17 | 10 | 4 | 3 | 27:14 | 34 |
| ჰონკა | 19 | 8 | 8 | 3 | 26:19 | 32 |
| ტურკუ | 18 | 9 | 2 | 7 | 28:24 | 29 |
| ლაჰტი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:22 | 25 |
| ინტერი | 20 | 6 | 6 | 8 | 26:21 | 24 |
| კტპ | 20 | 7 | 3 | 10 | 24:27 | 24 |
| ჰიკ | 18 | 4 | 11 | 3 | 23:19 | 23 |
| ვაასა | 20 | 5 | 8 | 7 | 17:28 | 23 |
| მიუპა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:21 | 22 |
| მარიეჰამნი | 18 | 4 | 8 | 6 | 19:24 | 20 |
| იარო | 18 | 5 | 4 | 9 | 21:31 | 19 |
| ვიიკინგიტი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:25 | 17 |
| ოულუ | 18 | 4 | 5 | 9 | 21:32 | 17 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. VI ტური

**ბასტია 0:1 ნანტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:4 | 13 |
| ლე ავრი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| დიჟონი | 6 | 3 | 3 | 0 | 5:2 | 12 |
| გრენობლი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ტრუა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| მონპელიე | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ნიორი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| ბრესტი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| რეიმსი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:10 | 9 |
| გენგამი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| სედანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ბულონი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| კლერმონი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| ანჟერი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| აიაჩო | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| ბასტია | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| შატორუ | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ლიბურნი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| ამიენი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:7 | 4 |
| გენიონი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:12 | 3 |

## დანია

### სუპერლიგა. VIII ტური

**ოლბორგი 2:1 ნორდსიელანდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდტიულანდი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 17 |
| კოპენჰაგენი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 |
| ჰორსენსი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:13 | 15 |
| რანდერსი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:6 | 14 |
| ოდენსე | 8 | 3 | 5 | 0 | 13:7 | 14 |
| ოლბორგი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:14 | 11 |
| ესბიერგი | 8 | 3 | 1 | 4 | 21:17 | 10 |
| ნორდსიელანდი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| ვიბორგი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:17 | 7 |
| ბრონდბიუ | 8 | 1 | 3 | 4 | 9:15 | 6 |
| ლიუნგბიუ | 8 | 1 | 3 | 4 | 4:15 | 6 |
| ორჰუსი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:11 | 5 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. IV ტური

**ფრაიბურგი 3:2 ჰოფენჰაიმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ფიურტი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| მაინცი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:6 | 9 |
| ოფენბახი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| აუე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ალემანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| კიოლნი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ვეჰენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ფრაიბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ზანკტ პაული | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ოსნაბრიუკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| გლადბახი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| კობლენცი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ლაუტერნი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| კარლ ცაისი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:9 | 1 |
| პადერბორნი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| ჰოფენჰაიმი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |
| აუგსბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VIII ტური

**ლუცერნი 1:1 სიონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 8 | 5 | 2 | 1 | 22:7 | 17 |
| ბაზელი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:13 | 16 |
| ქსამაქსი | 8 | 3 | 4 | 1 | 12:9 | 13 |
| იანგ ბოისი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:15 | 12 |
| სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | 11 |
| გრასჰოპერი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:12 | 8 |
| აარაუ | 8 | 1 | 5 | 2 | 11:12 | 8 |
| ლუცერნი | 8 | 1 | 5 | 2 | 12:16 | 8 |
| თუნი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:15 | 6 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XX ტური

**გეფლე 2:2 ელფსბორგი**
**ჰელსინგბორგი 1:4 იურგორდენი**
**იორებრო 2:1 გაის**
**ჰამარბი 1:2 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 20 | 10 | 5 | 5 | 29:19 | 35 |
| ელფსბორგი | 20 | 9 | 7 | 4 | 32:21 | 34 |
| აიკ | 20 | 10 | 4 | 6 | 27:21 | 34 |
| გიოტებორგი | 20 | 9 | 6 | 5 | 34:21 | 33 |
| კალმარი | 20 | 10 | 2 | 8 | 29:27 | 32 |
| ჰალმსტადი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:26 | 32 |
| მალმიო | 20 | 7 | 7 | 6 | 24:19 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 7 | 6 | 7 | 33:27 | 27 |
| ჰამარბი | 20 | 8 | 3 | 9 | 25:21 | 27 |
| გეფლე | 20 | 6 | 6 | 8 | 18:22 | 24 |
| გაის | 20 | 6 | 6 | 8 | 19:27 | 24 |
| იორებრო | 20 | 4 | 7 | 9 | 19:32 | 19 |
| ტრელებორგი | 20 | 4 | 5 | 11 | 18:31 | 17 |
| ბრომაპოიკარნა | 20 | 4 | 5 | 11 | 15:36 | 17 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XIX ტური

**სტაბეკი 0:2 ფრედრიკსტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:30 | 39 |
| ლილესტრიომი | 19 | 10 | 6 | 3 | 37:14 | 36 |
| სტაბეკი | 19 | 9 | 6 | 4 | 28:26 | 33 |
| ვიკინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 34:29 | 32 |
| რუსენბორგი | 19 | 8 | 5 | 6 | 37:27 | 29 |
| ფრედრიკსტადი | 19 | 7 | 8 | 4 | 29:25 | 29 |
| ლინი | 19 | 7 | 4 | 8 | 29:31 | 25 |
| ტრომსიო | 19 | 7 | 3 | 9 | 30:33 | 24 |
| ვოლერენგა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:23 | 24 |
| ალესუნდი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:39 | 24 |
| სტრომსგოდსეტი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:31 | 22 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 5 | 3 | 11 | 24:26 | 18 |
| სტარტი | 19 | 3 | 7 | 9 | 23:32 | 16 |
| სანდეფიორდი | 19 | 4 | 3 | 12 | 23:36 | 15 |

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 3 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22:45 | 11 | ნორთჰემპტონი-დონკასტერი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 4 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 5 | კარლაილი-ტრანმერი | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 18:00 | 7 | ქრუ-ჰადერსფილდი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 8 | ლიდსი-ჰარტლპული | 1.60 | 3.30 | 4.45 | 1.07 | 1.17 | 1.89 |
| 18:00 | 9 | ლეიტონი-ბორნმუთი | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 15:00 | 10 | ლუტონი-როვერსი | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 13 | სუინდონი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 17 | ჩესტერი-მორიკამბი | 1.60 | 3.40 | 4.30 | 1.08 | 1.16 | 1.89 |
| 22:30 | 18 | ჩესტერფილდი-ბერი | 1.50 | 3.50 | 4.90 | 1.04 | 1.14 | 2.04 |
| 22:45 | 21 | ლინკოლნი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 22:45 | 22 | დონსი-ნოტსი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 14 | როტერჰემი-დარლინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 15 | სტოკპორტი-შრიუსბერი | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 18:00 | 16 | აკრინგტონი-გრიმსბი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 15:15 | 19 | დაგ ენდ რედი-ბარნეტი | 2.05 | 3.15 | 3.05 | 1.24 | 1.22 | 1.54 |
| 18:00 | 20 | ჰერეფორდი-მაკლსფილდი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 23 | პიტერბორო-მენსფილდი | 1.45 | 3.50 | 5.80 | 1.02 | 1.15 | 2.18 |
| 16:30 | 25 | უიკომბი-ბრენტფორდი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 26 | სტ.რეინჯერსი-ჰალიფაქსი | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | 1.38 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 19:45 | 52 | ვერლი-ობერჰაუზენი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 21:30 | 53 | კოტბუსი(მ)-დორტმუნდი(მ) | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 21:30 | 54 | ვუპერტალი-ვოლფსბურგი(მ) | 1.40 | 3.90 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.36 |
| 21:30 | 55 | ესენი-ბრაუნშვაიგი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:30 | 56 | უნ ბერლინი-ბაბელსბერგი | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| 21:30 | 57 | მაგდებურგი-ლიუბეკი | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 21:30 | 58 | დინამო-დიუსელდორფი | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 20:00 | 59 | ჰამბურგი(მ)-ალენი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 78 | ვადუცი-კიასო | 1.60 | 3.30 | 4.20 | 1.07 | 1.15 | 1.84 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 225 | ხირიუსი-პეკენი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აშშ | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 176 | ჩივასი-ვაშინგტონი | 2.25 | 3.10 | 2.65 | 1.30 | 1.21 | 1.42 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 177 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2.15 | 3.10 | 2.85 | 1.26 | 1.22 | 1.48 |
| 23:45 | 178 | კოლამბუსი-ჩიკაგო | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 179 | ჰიუსტონი-სოლტ ლეიკი | 1.40 | 3.50 | 6.20 | 1.00 | 1.14 | 2.23 |
| 23:45 | 180 | დალასი-ტორონტო | 1.45 | 3.50 | 5.75 | 1.02 | 1.15 | 2.17 |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 182 | ჩივასი-ნიუ იორკი | 2.00 | 3.20 | 3.15 | 1.23 | 1.22 | 1.58 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 183 | ტიგრესი-პაჩუკა | 2.90 | 2.90 | 2.20 | 1.45 | 1.25 | 1.25 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 335 | რივერ პლეიტი-ნიუელსი | 1.50 | 3.40 | 5.40 | 1.04 | 1.17 | 2.08 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 202 | კორინთიანსი-ამერიკა | 1.20 | 4.70 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.02 |
| 23:45 | 203 | ფლამენგო-ფიგეირენსე | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| 23:45 | 204 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1.60 | 3.30 | 4.70 | 1.07 | 1.19 | 1.93 |
| 23:45 | 205 | გრემიო-ვასკუ და გამა | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 206 | ჟუვენტუდი-კრუზეირო | 2.75 | 3.10 | 2.10 | 1.45 | 1.19 | 1.25 |
| 23:45 | 207 | სანტოსი-ინტერნასიონალი | 1.60 | 3.20 | 4.50 | 1.06 | 1.18 | 1.87 |
| 23:45 | 208 | ატლეტიკო მნ-სან პაულუ | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 199 | ბოტაფოგო-პალმეირასი | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.13 | 1.21 | 1.68 |
| 23:45 | 200 | პარანა-ნაუტიკო | 1.60 | 3.30 | 4.60 | 1.07 | 1.18 | 1.92 |
| 23:45 | 201 | სპორტ რესიფი-ფლუმინენსე | 1.90 | 3.20 | 3.20 | 1.19 | 1.19 | 1.60 |
| | | ევ.2008 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 22:15 | 231 | სან მარინო-ჩეხეთი | 40.00 | 10.00 | 1.01 | 8.00 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 233 | შოტლანდია-ლიტვა | 1.22 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.05 |
| 18:00 | 234 | შოტლანდია-ლიტვა 0:1 | 1.65 | 3.70 | 3.00 | | | |
| 18:00 | 235 | ფარერი-ბოსნია ჰერცოგოვინა | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 21:30 | 236 | მალტა-თურქეთი | 14.00 | 6.00 | 1.11 | 4.19 | 1.02 | 1.00 |
| 20:15 | 238 | ლატვია-ჩრდ.ირლანდია | 3.20 | 3.10 | 1.95 | 1.57 | 1.21 | 1.19 |
| 23:45 | 239 | ისლანდია-ესპანეთი | 9.00 | 4.50 | 1.22 | 3.00 | 1.07 | 1.00 |
| 23:45 | 240 | ისლანდია-ესპანეთი 1:0 | 3.30 | 3.80 | 1.60 | | | |
| 19:00 | 241 | რუსეთი-მაკედონია | 1.15 | 5.80 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.67 |
| 19:00 | 243 | ლუქსემბურგი-სლოვენია | 10.00 | 5.20 | 1.18 | 3.42 | 1.05 | 1.00 |
| 20:00 | 245 | ინგლისი-ისრაელი | 1.20 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.10 |
| 20:00 | 246 | ინგლისი-ისრაელი 0:1 | 1.65 | 3.60 | 3.00 | | | |
| 19:00 | 247 | ბელარუსი-რუმინეთი | 5.80 | 3.50 | 1.50 | 2.18 | 1.19 | 1.04 |
| 19:00 | 248 | ბელარუსი-რუმინეთი 1:0 | 2.25 | 3.30 | 2.25 | | | |
| 22:00 | 249 | მოლდოვა-ნორვეგია | 8.00 | 4.20 | 1.28 | 2.75 | 1.10 | 1.00 |
| 22:00 | 250 | მოლდოვა-ნორვეგია 1:0 | 2.80 | 3.50 | 1.65 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 251 | სერბეთი-ფინეთი | 1.32 | 3.80 | 8.00 | 1.00 | 1.13 | 2.57 |
| 22:30 | 252 | უელსი-გერმანია | 7.50 | 3.70 | 1.32 | 2.47 | 1.12 | 1.00 |
| 22:30 | 253 | უელსი-გერმანია 1:0 | 2.60 | 3.40 | 1.85 | | | |
| 22:30 | 254 | სლოვაკეთი-ირლანდია | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 22:30 | 255 | ხორვატია-ესტონეთი | 1.12 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.00 |
| 22:30 | 257 | შვედეთი-დანია | 1.95 | 3.10 | 3.20 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| 22:30 | 258 | ჰოლანდია-ბულგარეთი | 1.30 | 3.80 | 7.70 | 1.00 | 1.11 | 2.54 |
| 22:30 | 259 | ჰოლანდია-ბულგარეთი 0:1 | 1.95 | 3.30 | 2.55 | | | |
| 22:50 | 260 | იტალია-საფრანგეთი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 261 | პორტუგალია-პოლონეთი | 1.38 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.17 | 2.48 |
| 23:45 | 262 | პორტუგალია-პოლონეთი 0:1 | 2.05 | 3.30 | 2.50 | | | |
| | | სამხრეთ ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 333 | ესტუდიანტესი-ლანუსი | 1.60 | 3.20 | 4.00 | 1.06 | 1.14 | 1.77 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 334 | სან ლორენსო-არსენალი | 1.40 | 3.70 | 5.40 | 1.01 | 1.11 | 2.19 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი 17 სამხ კორეა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 14:00 | 366 | ესპანეთი 17-განა17 | 2.30 | 2.80 | 2.80 | 1.26 | 1.26 | 1.39 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 14:00 | 367 | ნიგერია17-გერმანია17 | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 316 | კლაიდი-დანფერმლაინი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 22:45 | 317 | როსი-სტ ჯონსტონი | 3.30 | 3.50 | 1.80 | 1.69 | 1.16 | 1.18 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 337 | სალამანკა-ელჩე | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 23:00 | 338 | ალბასეტე-კასტელონი | 2.10 | 2.90 | 3.10 | 1.21 | 1.25 | 1.49 |
| 23:00 | 339 | კორდობა-კადისი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| 23:00 | 340 | მალაგა-სელტა | 2.10 | 3.10 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.49 |
| 23:00 | 341 | ტენერიფე-ეხიდო | 1.65 | 3.10 | 4.50 | 1.07 | 1.20 | 1.83 |
| 22:30 | 358 | ალავესი-ტარაგონა | 2.35 | 2.90 | 2.60 | 1.29 | 1.23 | 1.37 |
| 23:00 | 359 | ხერესი-ფეროლი | 1.80 | 3.00 | 3.75 | 1.12 | 1.21 | 1.66 |
| 23:30 | 360 | გრანადა 74-სპორტინგი | 2.25 | 3.00 | 2.65 | 1.28 | 1.21 | 1.40 |
| 23:30 | 361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 2.05 | 3.00 | 3.00 | 1.21 | 1.21 | 1.50 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 273 | კიოლნი-ჰამბურგი | 1.70 | 4.00 | 2.50 | 1.19 | 1.01 | 1.53 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 274 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 1.95 | 4.00 | 2.20 | 1.31 | 1.03 | 1.41 |
| 21:30 | 275 | ინგოლშტადი-აუგსბურგი | 1.30 | 4.30 | 4.00 | 1.00 | 1.00 | 2.07 |
| 21:30 | 276 | ჰანოვერი-ფრანკფურტი | 1.80 | 4.00 | 2.30 | 1.24 | 1.00 | 1.46 |
| 21:30 | 277 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.20 | 4.60 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.39 |
| 21:30 | 278 | სტრაუბინგი-იზერლონი | 1.95 | 4.00 | 2.20 | 1.31 | 1.03 | 1.41 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10225 | ხირიუსი-პეკენი | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10337 | სალამანკა-ელჩე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10338 | ალბასეტე-კასტელონი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10339 | კორდობა-კადისი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10340 | მალაგა-სელტა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10341 | ტენერიფე-ეხიდო | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10358 | ალავესი-ტარაგონა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10359 | ხერესი-ფეროლი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10360 | გრანადა 74-სპორტინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11225 | ხირიუსი-პეკენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11337 | სალამანკა-ელჩე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11338 | ალბასეტე-კასტელონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11339 | კორდობა-კადისი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11340 | მალაგა-სელტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11341 | ტენერიფე-ეხიდო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11358 | ალავესი-ტარაგონა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11359 | ხერესი-ფეროლი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11360 | გრანადა 74-სპორტინგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12337 | სალამანკა-ელჩე | 1.40 | 2.20 |
| 12338 | ალბასეტე-კასტელონი | 1.45 | 2.10 |
| 12339 | კორდობა-კადისი | 1.55 | 1.90 |
| 12340 | მალაგა-სელტა | 1.55 | 1.90 |
| 12341 | ტენერიფე-ეხიდო | 1.50 | 2.00 |
| 12358 | ალავესი-ტარაგონა | 1.50 | 2.10 |
| 12359 | ხერესი-ფეროლი | 1.50 | 2.00 |
| 12360 | გრანადა 74-სპორტინგი | 1.55 | 1.90 |
| 12361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 1.55 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14225 | ხირიუსი-პეკენი | 1.85 | 1.95 |
| 14337 | სალამანკა-ელჩე | 1.80 | 2.00 |
| 14338 | ალბასეტე-კასტელონი | 1.75 | 2.10 |
| 14339 | კორდობა-კადისი | 1.95 | 1.85 |
| 14340 | მალაგა-სელტა | 1.75 | 2.10 |
| 14341 | ტენერიფე-ეხიდო | 1.45 | 2.40 |
| 14358 | ალავესი-ტარაგონა | 1.80 | 2.00 |
| 14359 | ხერესი-ფეროლი | 1.65 | 2.30 |
| 14360 | გრანადა 74-სპორტინგი | 1.80 | 2.00 |
| 14361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 1.75 | 2.10 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17225 | ხირიუსი-პეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17337 | სალამანკა-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17338 | ალბასეტე-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17339 | კორდობა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17340 | მალაგა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17341 | ტენერიფე-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17358 | ალავესი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17359 | ხერესი-ფეროლი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | გრანადა 74-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15225 | ხირიუსი-პეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | სალამანკა-ელჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | ალბასეტე-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | კორდობა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | მალაგა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | ტენერიფე-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | ალავესი-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | ხერესი-ფეროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | გრანადა 74-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16225 | ხირიუსი-პეკენი | 1.75 | 1.85 |
| 16337 | სალამანკა-ელჩე | 1.55 | 2.20 |
| 16338 | ალბასეტე-კასტელონი | 1.50 | 2.30 |
| 16339 | კორდობა-კადისი | 1.80 | 1.85 |
| 16340 | მალაგა-სელტა | 1.50 | 2.30 |
| 16341 | ტენერიფე-ეხიდო | 1.23 | 3.60 |
| 16358 | ალავესი-ტარაგონა | 1.65 | 2.05 |
| 16359 | ხერესი-ფეროლი | 1.30 | 3.00 |
| 16360 | გრანადა 74-სპორტინგი | 1.58 | 2.10 |
| 16361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 1.45 | 2.45 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13337 | სალამანკა-ელჩე | 2.10 | 1.50 |
| 13338 | ალბასეტე-კასტელონი | 2.00 | 1.50 |
| 13339 | კორდობა-კადისი | 1.80 | 1.70 |
| 13340 | მალაგა-სელტა | 1.80 | 1.70 |
| 13341 | ტენერიფე-ეხიდო | 2.00 | 1.50 |
| 13358 | ალავესი-ტარაგონა | 2.00 | 1.50 |
| 13359 | ხერესი-ფეროლი | 1.90 | 1.60 |
| 13360 | გრანადა 74-სპორტინგი | 1.80 | 1.70 |
| 13361 | ჰერკულესი-ნუმანსია | 1.80 | 1.70 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# საქართველო იქ, საქართველო აქ: საფრანგეთში და ბარებში


ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

**დღეს, გამთენიისას რაგბის კავშირის ოფიციალური დელეგაცია საფრანგეთში გაემგზავრა. ისინი ლიონში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდებიან. ამასთან დაკავშირებით საბილიარდო კლუბ „12 მაგიდაში" პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ჟურნალისტების კითხვებს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ, აღმასრულებელმა დირექტორმა გია ნიჟარაძემ, პრესსამსახურის უფროსმა გიორგი მამარდაშვილმა და კომენტატორმა თემურ ჯაფარიძემ უპასუხეს...**

**გია ნიჟარაძე:** ხვალ რაგბის კავშირის ოფიციალური დელეგაცია საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც საქართველოს ნაკრებს შეუერთდება და ჩვენს „ლელოებთან" ერთად გაიზიარებს საჩემპიონატო ციებ-ცხელებას. ულრმესი მადლობა ჟურნალისტებს, მათ საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი სამივე ეტაპის გაშუქებაში ძალ-ღონე და მონდომება არ დაიშურეს. ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ 1973 წლიდან რაგბიში ვარ და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ასეთი დახმარება არ მახსოვს.

**— დღესდღეობით რა სიტუაციაა ნაკრებში?**

— სავსებით ნორმალური. რამდენიმე მოთამაშეს მიკროტრავმა აწუხებს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. იმათ საყურადღებოდ, ვინც რაგბიში კარგად ჩახედული არაა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენების შესაძლებლობები გადაჭარბებულად არ შეაფასონ, რათა მოლოდინი არ გაუცრუვდეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ რაგბიში სასწაულები და სენსაციები თითქმის არ ხდება. ჩვენს ჯგუფში ყველას ვაჟკაცურად უნდა ვეომოთ, ნამიბიას კი აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

**მერაბ ანთაძე:** სამთვიანი მოსამზადებელი ეტაპი წარმატებით დასრულდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა სპონსორს, ასევე იმ მცირე მეწარმეს, რომლებმაც მართალია, პატარა, მაგრამ გულითადი წვლილი შეიტანეს ქართული რაგბის განვითარებაში.

**თემურ ჯაფარიძე:** ისეთი აჟიოტაჟი, როგორიც საქართველოში ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იყო, შეიძლება, არ შეიქმნას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უამრავი ხალხი გაერთიანდება ჩვენი ნაკრების ქომაგობაში და მხურვალე გულშემატკივრობის მომსწრენი გავხდებით.

**გიორგი მამარდაშვილი:** ოფიციალური თანამშრომლობის წინადადებით რაგბის კავშირს ოთხმა ბარმა მიმართა, ესენია: „12 მაგიდა", „LIVE BAR", კაფე „გურმანი" და კაფე „მსოფლიო სპორტი". ეს დაწესებულებები საქართველოს ნაკრების ოფიციალური პარტნიორები არიან. თუ ვინმეს თამაშის ყურებასთან ერთად ლუდის დალევაც უნდა, მიმართეთ და ისიამოვნეთ.

**ზურაბ მიგრიაული**



# ნარაიანი გადაირჩა

**ინდოელი** მეფორმულე ნარაინ კარტიკეიანი სადღეისოდ ალბათ ყველაზე ბედნიერი მძღოლია. საქმე ისაა, რომ მისმა მილიარდელმა თანამემამულე ვიჯეი მალიამ ჰოლანდიელ ბიზნესმენ მიხილ მოლთან ერთად „სამეფო რბოლების" მაჩანჩალა გუნდი „სპაიკერ F1" იყიდა.



მართალია, 80 მილიონ ევროდ შეფასებული გარიგება ოფიციალურად თვის ბოლომდე უნდა გაფორმდეს, თუმც საჰიბ ვიჯეის თქმით, ეს მხოლოდ ფორმალობაა და საქმე უკვე გაჩარხულია: „დიდი ხნის ოცნება ამისრულდა. დღეს სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ინდოეთს ფორმულა ერთის საკუთარი გუნდი ჰყავს."

ეს კი, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს — 30 წლის კარტიკეიანს გაისად ჩემპიონატში გამოსვლის შანსი გაუჩნდა და სიხარულით მეცხრე ცაზეა. იგი ერთადერთი ინდოელი ლიცენზიანი მეფორმულეა და რა ღმერთი უნდა გაუწყრეს, რომ ინდურ გუნდში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდეს:

„დაუჯერებელია! ერთ-ერთი საფორმულო გუნდის მფლობელი ინდოეთის ქვეშევრდომი იქნება — მართლაც შესანიშნავი ამბავია. ამჟამად „უილიამსის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებ და გარკვეული შანსი მაქვს, რომ 2008 წელს ძირითადი მრბოლი გავხდე, მაგრამ აშკარაა, რომ „სპაიკერის" ახალი მფლობელისგანაც მექნება წინადადება. ვიჯეი მალია კარიერის დასაწყისიდანვე ძალიან მეხმარება, ჩვენ დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ."

კარტიკეიანმა „ჯორდანში" — რომელიც შემდგომში „მიდლენდი" გახდა, დღეს კი სწორედ „სპაიკერი" ჰქვია — 2005 წელს სრული სეზონი ჩაატარა და ხუთი ქულით მე-18 ადგილზე გავიდა. ამჟამად იგი „უილიამს-ტოიოტას" ტესტ-პილოტია.

**გია ახალაძე**



la vuelta'07
del 1 al 23

**ვუელტა-2007**
ესპანეთი. 1-23 სექტემბერი

# რუსები ამღვრეულ წყალში თევზაობენ

**სეზონის** მესამე და ერთ-ერთი უმთავრესი სუპერველორბოლა ესპანური „ვულეტა" ეშხში შედის. აქამდე გამართული სამი ეტაპი იტალიელი დანიელე ბენატის და ესპანელი ოსკარ ფრეირეს დუილი უფრო იყო, ვიდრე ნალდი, ციცაბო აღმართების სპრინტით დაძლევით აღსავსე „ვუელტა".

ახლა ესპანური მრავალდღიანი სუპერბოლა ნელ-ნელა კრებს სიჩქარეს და სანამ ყველაფერი ეტაპიდან-ეტაპამდე ლაგდება, სურპრიზები არ იცდიან.

ასე იყო გუშინაც. კონკრეტულად კი სტარტზე დამდგარ ქარავანს, ფინიშისკენ უცბად მოსწყდა რუსი ვლადიმირ ეფიომკინოვი და ისეთი სპურტი აკრიფა, იტალიელი ლეანდრო პიეპოლი და ბელგიელი სტიინ დევოლდერი კი არა ეგებ ორი პანტანიც ვერ დაწეოდა.

ეფიომკინისთვის ეს იყო სუპერრბოლის პირველი მოგებული ეტაპი, რამაც სხვათა შორის, საერთო ჩათვლაშიც გაალიდერა. მას კუდში თანამემამულე დენის მენშოვი მისდევს, მაგრამ სპეციალისტები სამომავლო ფავორიტობას უფრო ესპანელ კარლოს სასტრეს უწინასწარმეტყველებენ. სატრე გუშინ პირველად გამოჩნდა ლიდერებში, თანაც მრავალდღიანი რბოლების სპეციალისტად ითვლება.

**ბაჩო სვანიძე**

| IV ეტაპი. 4 სექტემბერი. ლანგრეო-კოვადონგა. 185,1 კმ. | |
|---|---|
| 1 ვლადიმირ ეფიომკინი (რუსეთი, კაისე) | 4 სთ, 39 წთ, 56 წმ |
| 2 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, დუვალ-პროდირი) | +1 წთ, 6 წმ |
| 3 სტიინ დევოლდერი (ბელგია, დისქოვერი) | |
| 4 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | |
| 5 მაქსიმე მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) | სამივეს იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ვლადიმირ ეფიომკინი (რუსეთი, კაისე) | 16 სთ 2 წთ 50 წმ |
| 2 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +1 წთ, 6 წმ |
| 3 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ, 6 წმ |
| 4 მაქსიმე მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) | +1 წთ, 6 წმ |
| 5 სტიინ დევოლდერი (ბელგია, დისქოვერი) | +1 წთ, 6 წმ |



# ბოლო სიტყვა ბორჯომში ითქმება


ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

ზაზა თურმანიძე და ბეგი დარჩია

**საქართველოს** მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისწინა დასკვნით შეკრებაზე გადავიდა. ბერძენ-რომაელები გუშინ ბორჯომში გაემგზავრნენ და იქ 12 სექტემბრამდე დარჩებიან. ბაქოში კი ტურნირის დაწყებამდე სამი დღით ადრე, 14 სექტემბერს ჩავლენ. თავისუფლები ბორჯომს დღეს მიაშურებენ და რადგან მათთვის მსოფლიო 20-ში იწყება, თბილისში დაბრუნებისა და აზერბაიჯანში წასვლის თარიღებიც კლასიკოსებისაგან განსხვავებული აქვთ. ზაზა თურმანიძის გუნდმა ამ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლაც მოასწრო, ოღონდ არა ოპტიმალური შემადგენლობით. ძირითადად, ნაკრების კანდიდატებით დაკომპლექტებულმა თორმეტკაციანმა ქართულმა გუნდმა ხასავიურტის ტრადიციული პირველობიდან გუშინ ოთხი მედალი ჩამოიტანა. დაღესტანში ყველაზე უკეთ ლუკა კურტანიძემ (96 კგ) იჭიდავა — ტურნირი დაუმარცხებლად ჩაამთავრა და ჩემპიონი გახდა. გიორგი ბალიაშვილმა (60 კგ) გადამწყვეტი ბრძოლა წააგო და ვერცხლს დასჯერდა. მალხაზ ზარქუა (60 კგ) და ალექსი მოდებაძე (120 კგ) კი მესამეზე გავიდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი კვირაც აღარ რჩება, მაგრამ არც ბეგი დარჩია და არც ზაზა თურმანიძე საბაქოე შვიდეულების გამოცხადებას არ ჩქარობენ. ოფიციალური დუმილის მიზეზად მწვრთნელები ჯანსაღ შიდა კონკურენციას ასახელებენ. ბორჯომულ შეკრებაზეც თითო წონაში 5-6 მოჭიდავე იახლეს.

ბოლოს შევახსენებთ, რომ ჩემპიონატს კლასიკოსები 17 სექტემბერს გახსნიან და სამ დღეში შვიდევე წონის ჩემპიონ-პრიზიორებს გამოავლენენ. მომდევნო სამი დღე ხალიჩა თავისუფლებს დაეთმობათ. მერე კი ქალებიც იჭიდავებენ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

**B ჯგუფი**
ავსტრალია
უელსი
ფიჯი
კანადა
იაპონია

## ავსტრალია

მსოფლიო რეიტინგი: 2
**მსოფლიოს თასებზე**
1987 — ნახევარფინალში ნააგო საფრანგეთთან; მე-3 ადგილისთვის ნააგო უელსთან
1991 — ჩემპიონი
1995 — მეოთხედფინალში ნააგო ინგლისთან
1999 — ჩემპიონი
2003 — ფინალი ნააგო ინგლისთან

**უკანა ხაზი:** ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, სემ კორდინგლი, მარკ ჯერარდი, მეტ ჟიტუ, ჯულიან ჰუქსლი, დრიუ მიჩელი, სკოტ სტეინფორტი, ლოთე ტუკირი, კრის ლათამაი, სტივენ ლაქემი, სტირლინგ მორტლოკი (კაპ), ჯორჯ გრეგანი
**მორკინალები:** ალისტერ ბაქსტერი, მარკ ჩიშოლმი, მატ დანინგი, როკი ელსომი, ადამ ფრეიერი, შონ ჰარდმანი, სტივენ ჰოილისი, გრეგ ჰოლმსი, დევიდ ლაიონზი, ჰიუ მაკმენიმანი, სტივენ მური, უაიკლიფ პალუ, ნათან შარპი, გაი შეფერდსონი, ჯორჯ სმიტი, დან ვიკერმანი, ფილ ვუ
**მწვრთნელი:** ჯონ კონელი

# ოქროსფერნი და ეშხიანნი

**კაპიტან** ჯეიმს კუკის ავსტრალიაში მოგზაურობის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა პორტ ჯექსონში (ახლანდელი სიდნეი) გამოსასწორებელი კოლონია ააშენა, სადაც 161 000 პატიმარი იხდიდა სასჯელს. მავთულხლარჩებით შემორაგვულ კოლონიაში ხელკეტიანი ციხის ბადრაგი კოშკურაზე იდგა და ეზოს ოქროსფრად მოელვარე სილაში პატიმართა შორის გამართულ თავდაუზოგავ სარაგბო ჯახს ადევნებდა თვალყურს.

იმ დღეს უელსელი და შოტლანდიელი ტუსაღები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს. თამაში როგორ დამთავრდა, ვერ მოგახსენებთ, იქნება არც დამთავრებულა, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ რაც ახლადათვისებული კონტინენტი თეთრებმა ქვეყანად აქციეს და საპატიმრო სისტემა დაიშალა, იქ ოვალით ბურთაობა სისხლოჭარბებულ ჯეელთა უპირველეს გასართობად იქცა. ყოფილმა ტუსაღებმა სხვა მშვიდობიან მოახალშენეებთან ერთად ავსტრალიაში ექვსი კოლონია გააშენეს და მას შემდეგ ძალისმიერი ბურთისადმი ფანატიკური სიყვარული კონტინენტის ნებისმიერი, აბორიგენი თუ მიგრირებული მოსახლის ტვინში წარუშლელად ჩაიბეჭდა.

ბრიტანული კოლონიის პრაქტიკულად დამოუკიდებელ ქვეყნად ქცევის შემდეგ ოქროსფერ-მწვანე კონტინენტზე მრავალი ლეგენდარული მორაგბე გამოიზარდა. ოზებმა რაგბის მაგვარი ავსტრალიური ფეხბურთიც გამოიგონეს, რაგბიში ხომ უმაღლესი მწვერვალები დაიპყრეს. მსოფლიოს თასების ისტორიაში „ვოლაბები“ ყველაზე ტიტულოვანნი არიან — ორგზის ალუმართავთ ვებ ელისის თასი და ერთხელაც, 2003 წელს მესამე თასამდე ძალზე ცოტა დააკლდათ. ტიტულებით აზუნძლული მათი სარაგბო ისტორიის დეტალების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ სადაც ავსტრალიაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება, იქ რაგბის პელედ წოდებული დევიდ ქემფიზი არ ვახსენოთ. ოზთა ლეგენდას ნაკრებში მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მეტი ლელო გაუტანია და მიუხედავად იმისა, რომ თავისი ყიამყრალობის გამო დიდი პოპულარობით სამშობლოშიც კი არ სარგებლობს, თანამედროვე „ოვალურ“ სამყაროში მაინც ერთ-ერთ კაშკაშა და ექსცენტრულ პიროვნებად რჩება.

ლეგენდებს და ლეგენდარულებს მოვწყდეთ და იმ ავსტრალიაზე ვთქვათ, რამდენიმე სიტყვა, რომელიც 2007 წლის მუნდიალზე წარდგება მსოფლიოს წინაშე. ირბ-ს რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფ „კენგურუვოლაბები“ უკაშკაშესი ვარსკვლავებით დაიტრაბახებენ — შერკინების გამთამაშებელ ჯორჯ გრეგანის და ათ ნომერ სტივენ ლარქემის დუეტი მსოფლიოში ყველაზე გამოცდილი და საიმედოა, ეგაა, ამ შეხმატკბილებულმა წყვილმა კარგა 3-4 წელია ცხოვრების მეოთხე ათეულში შეაბიჯა. ამათ დაუმატეთ ცენტრი სტირლინგ მორტლოკი, ვინაც გრეგანს კაპიტნობა ჩამოართვა, უნივერსალი მეტ ჟიტუ, ახმახი გარემარბი ლოთე ტუკირი და მიიღებთ გუნდს, რომელსაც მსოფლიოში ალბათ ყველაზე საშიში უკანა ხაზი ჰყავს და ერთ კონკრეტულ თამაშში ნებისმიერი ელიტარული ნაკრების დამარცხება შეუძლია.


AFP
ოზთა ლეგენდარული დუეტი: სტივენ ლარქემი და ჯორჯ გრეგანი

## ფიჯი

მსოფლიო რეიტინგი: 12
**მსოფლიოს თასებზე**
1987 — მეოთხედფინალში ნააგო საფრანგევვან
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — მეოთხედფინალში ვერ გავიდა
2003 — ჯგუფში ჩარჩა

# ცარიელი ჯიბე და თბილი გული


ფიჯელთა სუპერვარსკვლავ რუპენი კაუკაუს შანსი ჰქონდა, მსოფლიო აღეფრთოვანებინა, მაგრამ მარიხუანაზე ჩავარდა და თასსგარეთ დარჩა

**1998 წლის** გაზაფხული იყო, საქართველოს ნაკრები 1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის მატჩისთვის მოსამზადებლად ფიჯიზე რომ დაბანაკდა. მაშინ ჩვენებს ეგრეთ წოდებული რეპეშაჟის მატჩი უნდა ეთამაშათ ფიჯის მეზობელ ტონგასთან.

შეკრებისას ფიჯელებმა ქართველებს კუნძულზე ექსკურსია შესთავაზეს. ეს ამბავი ჩვენების ერთ-ერთმა გამორჩეულმა მორაგბემ და ყოფილმა კაპიტანმა ლევან ცაბაძემ ასე გაიხსენა — „გვითხრეს, კუნძულის ღირსშესანიშნაობებს დაგათვალიერებინებთო. ბუნგალოში ეგზოტიკური წვენების დაგემოვნების შემდეგ, შუაგულ ჯუნგლებში, ლიანებით დაფარულ რაღაც გამოქვაბულებთან მიგვიყვანეს, იქ ქვიდან გამოთლილი უსწორმასწორო ქანდაკება გვანახეს. აი, ეს კაცი ერთ-ერთი ტომის ბელადი იყო და ჩვენში ღმერთივითააო. ამის შემდეგ ჯუნგლებიდან გამოგვიყვანეს და... ამის მეტი სანახავი არაფერი დარჩაო.“

ფიჯიზე, სადაც ბელადის ქვიდან გამოთლილი ქანდაკების და პალმიანი ზღვიური პეიზაჟების მეტი სანახავი ბევრიც არაფერია, 800 ათასი მოსახლეა, რომელთა უმეტესობა მეთევზეობითა და ტურისტების მასპინძლობით ირჩენს თავს. 800 ათასი ფიჯელიდან 30 ათასი მორაგბეა, რომელთა უმეტესობა ახალზელანდიურ, ავსტრალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ელიტარულ კლუბებში რაგბობს. დანარჩენები კი რაგბის სიამოვნებისთვის, მზით გამთბარ ხასხასა კორდებსა და ოკეანის ქვიშიან სანაპიროებზე თამაშობენ. ოდესღაც საზარელი და კაციჭამია ფიჯელები ამბობენ — ჩვენ მზე გულებში, თავსა და ფეხებში გვაცხუნებსო, მოკლედ, თბილი და გულღია ხალხი ვართო.

მზისა და რაგბის ღმერთი უნდა გაუწყრეთ ფიჯელებს, რომ ჯგუფში კანადას და იაპონიას ვერ მოუგონ. ავსტრალიასთან წინასწარ არიან განწირულები, უელსთან კი ეგებ სენსაციაზე იფიქრონ და თუ მასაც მოუგეს, მეორედ გავლენ მეოთხედფინალში. მით უმეტეს, უელსელი „წითელი დრაკონები“ ისე საშიშად ველარ აფრქვევენ ცეცხლს, როგორ ორი წლის წინ, როცა ექვს ერზე ყველა მიანგრიეს.

ისიც კარგი იქნებოდა, ფიჯელ „პალმებს“ თავიანთი ეშხიანი მელელოვე რუპენი კაუკაუ ჰყოლოდათ, მაგრამ ინგლისური „ბრისტოლის“ მოუხელთებელი მოიერიშე პლანის ბოლებისას გამოიჭირეს და ერთწლიანი დისკვალიფიკაციაც აკრეს. „პალმებს“ აკლიათ კიდევ რამდენიმე ლიდერი, რომლებიც ახლა სასჯელს სამხედრო გადატრიალებისთვის იხდიან. ასეთი გადატრიალებები კი ფიჯიზე წელიწადში მინიმუმ ორჯერ მაინც ხდება და მორაგბეებიც, როგორც მაგარი ბიჭები, ხშირად მონაწილეობენ ამგვარ საქმეებში.

**უკანა ხაზი:** ჯონ დაუნივუკუ, მოზეს რაულუნი, ნიკი ლითნი, ვაისია ლუვენიალი, სერემაია ბაი, სერუ რაბენი, კამელი რატუვოუ, მალელი კუნავორე, ვალიმონი დელასაუ, ისოა ნიევუა, ფილიმონე ბოლავუკუ, კაბირიელე ლოვობალავუ, ნორმან ლიგაირი
**მორკინალები:** გრემ დიუსი, ალეფოსო იალაიალატაბუა, სუნია კოტო, ვერენიკი საუტურაგა, ჯონ რაილომო, ჰენრი კიოდრავუ, ბილ გადოლო, იფერიემი რაუაქა, კელე ლეავერე, ისოა დომოლაილაი, ვამე ლეუარავუ, ჯონ ქოვუ, ნეტანი ტალეი, სემისი ნაევო, სისა კოიამაიაბოლე, ასა რავუტა, აკაპუსი ქერა
**მწვრთნელი:** ილივასი ტაბუა

# უელსი

## წითელი დრაკონი ქუდალი თმით

მსოფლიო რეიტინგი: 8

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ნახევარფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან; მე-3 ადგილისთვის მოუგო ავსტრალიას
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — მეოთხედფინალში წააგო ავსტრალიასთან
2003 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან

**კარდიფის** ცენტრში ერთი ჩია ტანის ულვაშა კაცის ქანდაკება დგას. ეს კაცი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მორაგბედ აღიარებული გარეტ ედვარდსია.

ედვარდსი და მისი ლეგენდარული თანაგუნდელები 70-80-იან წლებში თავზარს სცემდნენ სრულიად ბრიტანეთს და მის საზღვრებს გარეთაც დაუმარცხებლები იყვნენ. დასხდებოდნენ მაღაროებიდან გამოსული ქუდალთმაწვერა უელსელი მუშები ყოველ საღამოს პაბებში და ლუდის სმაში „წითელი დრაკონების“ მორიგ გამარჯვებებს აღნიშნავდნენ.

მაღაროელები და რაგბიზე გადარეული უელსელები ახლაც იკრიბებიან ლუდხანაში, ოღონდ ახლა გამარჯვებების „დასველების“ მაგივრად ხშირად წაგებული მატჩების გარჩევა უწევთ.

უელსს აღარ ჰყავს კიდევ ერთი ლეგენდა, 90-იანების ქუდალთმიანი კოლორიტი ნილ ჯენკინსი, ვინც ლამის მარტო ათრევდა „დრაკონებს“. ჯენკინსმა ჯერ კიდევ წინა მსოფლიოს თასის წინ მიატოვა რაგბი, მერე თაობათა ცვლა დაიწყო და უელსური რაგბიში წარმატების ქრიამული ერთხანს მიყუჩდა.




მეტიც, 2002 წელს ექვსი ერის სტარტზე, იტალიის ნაკრებმა, რომელიც თავის მეორე სეზონს ატარებდა ჩრდილო ნახევარსფეროს უმთავრეს ტურნირზე, სახლში იოლად მოუგო უელსს და შინ ნირწამხდარი გაუშვა.

„დრაკონებს“ შარშანწინდლამდე გაუგრძელდათ კრიზისი, 2005 წელს კი მოულოდნელად აბობოქრდნენ და დიდი სლემით მოიგეს ექვსი ერი. არიქა, ავშენდითო, იფიქრეს კარდიფში, მაგრამ ეგ იყო და მას შემდეგ უელსი აქა-იქ თუ გამოაჩენს თავის ძალას, ძირითადად კი აგებს.

წლეულს უელსი ისეთ ჯგუფში მოხვდა, წესით, მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, თუმც იქვე ფიჯია ჩასაფრებული, რომელსაც „დრაკონის“ მოშთობა დიახაც რომ შეუძლია. უელსელებიც სწორედ ფიჯის უნდა უფრთხოდნენ.

ერთიც, მეოთხედფინალში უელსი სამხრეთ აფრიკას ან ინგლისს შეხვდება. ჰოდა, თუ რაგბის განგება ნაბახუსევზე არ იყო, წლევანდელ მსოფლიოს თასსაც იქვე დაასრულებს.

**უკანა ხაზი:** გარეტ ტომასი (კაპ), კევინ მორგანი, შეინ უილიამსი, დაფიდ ჯეიმსი, ტომ შანკლინი, ჯემი რობინსონი, სონი პარკერი, მარკ ჯონსი, სტივენ ჯონსი, ჯეიმს ჰუკი, ქერი სვიტნი, დუეინ პილი, მაიკ ფილიპსი, გარეტ კუპერი

**მორკინალები:** მაიკლ ოუენი, მარტინ უილიამსი, კოლინ შარვისი, ალიქს პოპჰემი, ჯონათან ტომასი, იან ევასი, უილ ჯეიმსი, ალუნ-უინ ჯონსი, იან გუ, კრის ჰორსმანი, ადამ ჯონსი, მეტიუ რიისი, რიის ტომასი, ჰუ ბენეტი, გეთინ ჯენკინსი, დანკან ჯონსი

**მწვრთნელი:** გარეტ ჯენკინსი

# კანადა

## მუდმივი მონაწილე

მსოფლიო რეიტინგი: 13

**მსოფლიოს თასებზე**

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ჩარჩა
1991 — მეოთხედფინალში ახალ ზელანდიასთან
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — ჯგუფში ჩარჩა
2003 — ჯგუფში ჩარჩა

**მთავარია** მონაწილეობა — ეს დრომოჭმული და გახუნებული ოლიმპიური ლოზუნგი ზუსტად რომ ზედგამოჭრილია კანადის სარაგბო ნაკრებისთვის. თუმც ერთხელ, 1991 წლის მსოფლიოს თასზე კანადა თავს გადაახტა და მეოთხედფინალში გავიდა. აქვე დავაზუსტოთ, რომ იმ მსოფლიოს თასზე ჯგუფური ეტაპის შემდეგ პირდაპირ მეოთხედფინალები იწყებოდა.

იქამდე და მას შემდეგაც კანადა მსოფლიოს თასის მუდმივი მონაწილეა. „ნეკერჩხლის ფოთლებს“ რეიტინგში საკმაოდ მაღალი ადგილის გამო ჯგუფში ყოველთვის ჰყავდათ ერთი წყალწაღებული მეტოქე და ამ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. ხსენებული 1991 წლის მსოფლიოს თასის გარდა, კანადელებმა ყველა დანარჩენ ტურნირზე ჯგუფში თითო მატჩი მოიგეს.

ვერ დავიჩემებთ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ამ ქვეყანაში რაგბის დიდი ტრადიციები აქვთ, თუმც ფაქტია, რომ კანადაში პირველი სარაგბო მატჩი გასულ საუკუნეში მონრეალში გაიმართა, ხოლო რაგბის ფედერაცია 1929 წელს ჩამოყალიბდა.

აქედან მოყოლებული ოვალური სპორტი უფრო ამერიკული მიმართულებით განვითარდა. შედეგად ყველაზე ზორბა და სხარტი კანადელები ამერიკული ფეხბურთისკენ უფრო იწევენ, მით უმეტეს, რომ ამერიკული ბურთაობის ზელიგაში ფული დასტებით ყრია.

კანადაში, სადაც ჰოკეი პირველია, მერე ფეხბურთია და ამის შემდეგ ყველა დანარჩენი სახეობა. 32 მილიონი მაცხოვრებელია. და საინტერესოა, ამ ქვეყანაში რამდენი მორაგბეა? სულ რაღაც 15 ათასი, რაც ფიჯის ტოლა კუნძულისთვისაც კი სასაცილოა.

კანადას აღარ ჰყავს მსოფლიოს დონის მორაგბე გარეთ რიისი, ვინც ახლა 37 წლისაა და დამსახურებულ პენსიაზე გახლავთ. სხვების სახელები არაფერს გეტყვით, მაგრამ პარადოქსია, რომ კანადა მსოფლიო რეიტინგში ახლა მე-13 ადგილზეა.

**უკანა ხაზი:** ედ ფაირასტი, მატ უეინგარტი, მორგან უილიამსი (კაპ), ანდრე მონრო, რაიან სმიტი, კრეიგ კაპლანი, დერეკ დეიპუკი, დევიდ სპაისერი, ნიკ ტრენკელი, ჯასტინ მენსა-კოკერი, ჯეიმს პრიტჩარდი, მაიკ პაიკი, დითიეიჩ ვან დერ მერვე

**მორკინალები:** სკოტ ფრანკლინი, დან პლიტჩი, მაიკ პლიტჩი, ჯონ ტეილი, კევინ ტკაჩუკი, აარონ კარპენტერი, პატ რიორდანი, მაიკ ბურაკი, ჯემი კუდმორი, მაიკ ჯეიმსი, ლუკ ტაიტი, კოლინ იუქსი, დევიდ ბიდლი, ადამი კლიბერგერი, როდ სნოუ, შონ-მაიკლ სტივენი, მაიკლ უები

**მწვრთნელი:** რიკ საგიტი

# იაპონია

## ბაბუა მყავდა სამურაი

მსოფლიო რეიტინგი: 18

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ჩარჩა
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — ჯგუფში ჩარჩა
2003 — ჯგუფში ჩარჩა

„მე მყავს გუნდი, რომელიც თამაშს დაწყებამდე არ წააგებს და რომელიც სახელისთვის იბრძოლებს“ — ეს სიტყვები იაპონიის ნაკრების მწვრთნელს, ლეგენდარულ ახალზელანდიელ ჯონ ქირვანს ეკუთვნის.

ჩია აზიელები ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, მაგრამ ბრინჯს ჯოხებით ისე ჭამენ, მარცვალი არ უვარდებათ. ჰოდა, რა ღმერთი გაუწყრებათ, ნესვისხელა ბურთი ხელში ვერ დაიჭირონ.

ფუტკარივით მშრომელმა იაპონელებმა ბურთიც დაიჭირეს და ამ დაჭერა-პასებში აგერ უკვე მეექვსე მსოფლიოს თასზე ითამაშებენ. დიახ, იაპონიამ, რომელსაც რაგბიში მეტსახელად „მოყვავილე ალუბალი“ ჰქვია, ყველა მსოფლიოს ჩემპიონატზე გააღწია. ერთი ეგაა, ფიჯის არ იყოს, იაპონიაც მუდმივად მსოფლიო რაგბის მამების კონსერვატორულობის ტყვეა და განთესვისას ჯგუფში ყოველთვის განწირულია.

„მოყვავილე ალუბლები“ პლეი ოფში ვერ გავლენ, მაგრამ ჯგუფში ეგებ ბევრს გაუშრონ სისხლი. მათ არ ჰყავთ ზორბა და გოლიათი მორკინალები, სამაგიეროდ, ჰყავთ ვერცხლისწყალივით მოძრავი და ყველგან გამძრომ-შემძრომი უკანახაზელები. საამისოდ იაპონელებმა კარგა ხნის წინ იზრუნეს და მე-14-ში მოთამაშე და ნაკრების მიღმა დარჩენილ ახალზელანდიელებს იაპონელი ბებია-ბაბუა „გამოუჩხრიკეს“. მაორებმა — კრისტიან ლოამანუმ, პო არუგამ და ბრიუს რობინსმა უპრობლემოდ ‐იღეს იაპონური პასპორტი. ამ მოიერიშეებს იაპონელებმა წინ ხარივით მორკინალები ლუკ ტომპსონი და ფილიპ ორაილი დაუყენეს.

რაგბიში ასეა: თუ რომელიმე მორაგბეს სხვა ქვეყნის სახელით სურს თამაში, მაშინ ამ ქვეყნიდან მინიმუმ ბებია ან ბაბუა უნდა ჰყავდეს. იაპონელებიც ადგნენ და ქირვანის რჩეულებს უცბად გამოუძებნეს წინაპრები. რაგბის საერთაშორისო საბჭოს იურისტებმა კი ბევრი ჩხრიკეს, მაგრამ საწინააღმდეგო ვერაფერი ნახეს. ამით იაპონიის რაგბის კავშირი დიდ სკანდალს გადაურჩა, ყალბი ბებია-ბაბუას შვილიშვილები კი მსოფლიოს თასზე იაპონიისთვის ირაგბებენ.

**უკანა ხაზი:** იუკი იატომი, ტომოკი იოშიდა, ეიჯი ანგო, კოუსეი ონო, შოტარო ონიში, ნატანიელა ოტო, იუტა იმამურა, კოჯი ტაირა, ბრიუს რობინსი, დაისუკე ოჰატა, ჰიროტაკი ონოზავა, კოსუკე ენდო, კრისტიან ლოამანუ, გო არუგა

**მორკინალები:** რიო იამამურა, მასაჰირო იამამოტო, ტომოკაძუ სომა, ტაცუკიჩი ნიშიურა, იუჯი მაცუბარა, მისტუგუ იამამოტო, ჰიტოში ონო, ტაკანორი კუმაგაე, ლუატანგ სამურაი ვატუვეი, ლუკ ტომპსონი, ტაკურო მიუჩი, იასუნორი ვატანაბე, ჰაჯიმე კისო, ჰარე მაკირი, ფილიპ ორაილი, ტაკამიჩი სასაკი

**მწვრთნელი:** ჯონ კირვანი



AFP

იაპონელთა ახალზელანდიელი მენტორი ჯონ კირვანი

US OPEN 2007 ამერიკის ღია პირველობა 2007 ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $

# ჰაასთან წელებზე ფეხები ვერ გიშველის


ტომი ჰაასი

AFP ნიუ იორკიდან

### კაცები
### მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 3:6 6:4 6:1 6:4; ენდი როდიკი (5, აშშ) — ტომაშ ბერდიხი (9, ჩეხეთი) 7:6 2:0 (უარი); ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — პიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:1 6:3 6:4; ტომი ჰაასი (10, გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 4:6 6:4 3:6 6:0 7:6

### ქალები
### მეოთხე წრე

აგნეს სჟავაი (უნგრეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:4 7:6; სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:2 6:3; ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:1 7:5; შაჰარ პეერი (18, ისრაელი) — აგნეშკა რადვანსკა (30, პოლონეთი) 6:4 6:1

როჯერ ფედერერი მეოთხე წრემდე ისე მივიდა, რომ რეიტინგში 120-ე საფეხურზე მაღლა მდგომ არც ერთ მეჩოგნეს არ შეხვედრია. დიდ ალპელს არც გუშინ ჰყავდა მეტოქედ რომელიმე ბობოლა — იგი ფელისიანო ლოპესს ხვდებოდა, რომელიც დღესდღეობით ზუსტად მე-60 ადგილზეა. მაგრამ „მხიარული როჯერისთვის" ამ მატჩს ის დატვირთვა ჰქონდა, რომ გარკვეულწილად ვარჯიში იყო რაფაელ ნადალთან სავარაუდო ფინალის წინ — ლოპესი ხომ მალიორკელივით ცაციაა, თანაც ესპანელია და დაახლოებით იმავე სტილში ჩოგნაობს, როგორშიც რაფა.

ჰოდა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ნადალი ლოპესის გაუმჯობესებული ვერსიაა, მაშინ ეს მატჩი ფედერერს და მის შტაბს გვარიან საფიქრალს გაუჩენდა, რადგანაც შვეიცარიელმა მაგრად იწვალა, სეტიც წააგო და ლოპესი ერთი-ორ მომენტში ოდნავ უფრო ყაჭიზად რომ მოჰკიდებოდა თავის შანსებს, ალპელს კატასტროფის წინაც დააყენებდა.

ესპანელმა გაცილებით უკეთ დაიწყო და პირველ სეტში დაჯაბნა კიდეც მეტოქე. თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა მეორე პარტიაშიც, სადაც მეტოქეები თავიანთ მოწოდებებზე მეცხრე გეიმამდე უნაკლონი იყვნენ. აქ კი ფედერერმა იყოჩაღა, ბრეიკი გააკეთა და მალე სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. ლოპესმა მესამე პარტიის დასაწყისშიც გაიფაფხურა, როცა სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ფედერერმა სწორედ ამ ყველაზე საჭირო მომენტში კიდევ ერთხელ დაგვანახა, რატომ არის თანამედროვე ჩოგბურთის ზეკაცი — „მხიარული როჯერი" საკუთარ მოწოდებაზე იდეალურად ათამაშდა და ზედიზედ 35 გათამაშება მოიგო. ამ შუალედში ალპელმა კიდევ სამჯერ „გატეხა" პირინეელი და ეს თავისუფლად იმყოფინა მეოთხედფინალის საგზურის გასანაღდებლად.

„მეორე სეტიდან ჩემს მოწოდებაზე თამაშით უზომოდ კმაყოფილი ვარ. მშვენიერი მატჩი იყო, რადგანაც მან დიდებულად ითამაშა, ამნაირ შეხვედრებში გამარჯვება კი ერთიორად სასიამოვნოა" — განაცხადა ნამატჩევს ფედერერმა, რომელმაც „ფლეშინგ მედოუზზე" უკვე ზედიზედ 24-ე მატჩი მოიგო.

ახლა ფედერერს მასპინძელთა ფავორიტ ენდი როდიკთან მოუწევს დატაკება, რომელიც გუშინ ძალების მინიმალური დახარჯვით გაძვრა მეოთხედფინალში. ტომაშ ბერდიხმა, ცუდად ვარო და უკვე მეორე სეტის დასწყისში თქვა უარი მატჩის გაგრძელებაზე. არადა, პირველი პარტია ძალიან თანაბარი გამოდგა, რომელშიც ჩეხმა არაფერი დაუთმო იანკის და მხოლოდ ტაიბრეიკზელა გატყდა. თუმცა ბერდიხს მერე უკვე რაღაც ეტაკა, როდიკს ხელი ჩამოართვა და შემდეგ წრეში გასვლა მიულოცა. ენდი-ბოი კი ეგრე იოლად ფონს უკვე მეორედ გადის — ასეთი რამ მეორე წრეში მოხდა, როცა ხოსე აკასუსომ ვერ შეძლო როდიკთან მატჩის ჩამთავრება.

ფედერერ-როდიკის მეოთხედფინალში კი ამერიკელი თითქმის უშანსოდ მოჩანს — ყველასთან დიდი გულის მქონე იანკი შვეიცარიელთან ყოველთვის უწვერული ღლაპივით გამოიყურება და არაფერი გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ახლაც ასევე არ იქნება. მარტო სტატისტიკას დახედეთ — 14 დაპირისპირებიდან როდიკმა მხოლოდ ერთხელ იხეირა, თან უკანასკნელ 9-ში დამარცხდა.

ამერიკელებს მოლუშვის მიზეზი გუშინვე მიეცათ, რადგანაც ნიუ იორკი მასპინძელთა მეორე იმედ ჯეიმს ბლეიკს დაატოვებინეს. ეს მისია საკუთარ თავზე ტომი ჰაასმა აიღო, რომელმაც მაყურებელს კიდევ ერთი შოუ დაუდგა და ზედიზედ მეორე ხუთსეტიანი ბატალიით გაახალისა. წინა წრეში გერმანელი ხომ ასევე ხუთ სეტში გაუმკლავდა სებასტიან გროჟანს და ასეთ მარათონს ბლეიკთან შეხვედრაშიც გაუძლო.

მატჩი მართლაც ლამაზი საცქერი გამოდგა, რომელშიც ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ბლეიკმა უკეთესად კი დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა უკლო და ბოლოსკენ ძლივსღა დალასლასებდა. არადა, წესით, გერმანელზე დასვენებული უნდა ყოფილიყო. თუმც მეორეს მხრივ, ხუთსეტიანი მატჩები ბლეიკის დიდი სისუსტეა და სანამ რამდენიმე დღის წინ 34 წლის ფაბრის სანტორო არ დასცა, მანამდე კარიერაში ამდაგვარი ჯახი ერთხელაც არ მოეგო. შავტუხა იანკი ვერც ახლა გამორჩა თავისთვის სასარგებლოს და მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე პარტიაში წელებზე ფეხების დადგმით ტაიბრეიკამდე მიაჯაჩირდა, იქ უკვე ველარფერი მოუხერხა გერმანელს.

„ასეთ ხუთსეტიან შეხვედრებში ყველაფერს ერთი-ორი გათამაშება წყვეტს — ამ შემთხვევაში მე უფრო გამიმართლა, თუმც ვფიქრობ, რომ მაყურებელმა მაინც ისიამოვნა" — ხარობდა ჰაასი.

ჰაასს ნახევრაფინალის საგზურისთვის დატაკება ნიკოლაი დავიდენკოსთან მოუწევს და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რუსს ნიუ იორკში ჯერ სეტიც არ წაუგია, მაშინ ფავორიტის ვინაობის გამოცნობა ძნელი არ იქნება. გუშინ კი მოსკოველი ჰიუნგ-ტაიკ ლის ისე ადვილად გაუსწორდა, კორეელი ნამატჩევს ამბობდა — რა ვქნა, კლასით ჩემზე გაცილებით მაღლა დგასო.

ისე ჰაასი და დავიდენკო შარშანაც მეოთხედფინალში დაეტაკნენ ერთმანეთს და მაშინ რუსმა ხუთ სეტში იხეირა. თუმც გერმანელის გადაღლილობას თუ გავითვალისწინებთ, წლეულს სლავი უფრო ნაკლებში უნდა ჩაეტიოს.

ქალთა შორის კი დარჩენილი მეოთხედფინალისტების ვინაობაც გაირკვა. გუშინ მოულოდნელი არაფერი მომხდარა და საუკეთესო რვაში მათ დაიბევეს ადგილი, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა.

ოდნავადაც არ გასჭირვებიათ რუსებს — სვეტლანა კუზნეცოვასა და ანა ჩაკვეტაძეს. პირველმა ვიქტორია აზარენკა გამოიჭირა და ახალგაზრდა ბელარუსს კარგი გაკვეთილიც ჩაუტარა, მოუგო რა სულ რაღაც 75 წუთში.

კუზნეცოვას ზღაპრულად მოთამაშე აგუბს [illegible] ნაობა. 18 წლის უნგრელი ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე გაუმკლავდა იულია ვაკულენკოს. სხვათა შორის, კუზნეცოვა და სჟავაი ერთმანეთს ათიოდ დღის წინაც შეხვდნენ ნიუ ჰევენის ფინალში და იქ უნგრელი ჯაბნიდა გამოცდილ რუსს, თუმც ზურგის ტკივილის გამო მატჩი, ვერ ჩაამთავრა და ტიტული კუზნეცოვას დაუთმო. თუმც ახლა სჟავაი ირწმუნება ტრავმა საერთოდ არც მახსოვს და რუსის დამარცხებას კიდევ ერთხელ ვეცდებიო.

ჩაკვეტაძემ კი ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენას, 16 წლის ავსტრიელ ტამირა პაშეკის დამარცხებას არცთუ დიდი ძალა დაახარჯა. პაშეკმა მხოლოდ მეორე სეტში იწვალა და ისიც იმიტომ, რომ ქართული წარმოშობის რუსი თავად მოდუნდა. თუმც როგორც კი თავის სიმაღლეზე დადგა, ავსტრიელს ის მისხალი შანსიც გამოეცალა ჩოგნიდან.

„კორტზე თავიდანვე თავდაჯერებული გამოვედი, რადგან ვიცოდი, ის იუნიორი იყო და სათამაშო კლასს რომ თავი დავანებოთ, ნერვებს გამკლავება მაინც უნდა გასჭირვებოდა. თუმც იგი ძალიან ნიჭიერია და მალე ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა" — აქებდა მეტოქეს ჩაკვეტაძე.

ნახევარფინალის საგზურს ანას შაჰარ პეერი შეეცილება — ებრაელმა მარია შარაპოვას წამქცევ აგნეშკა რადვანსკას წირვა ორ სეტში გამოუყვანა.

**კახა ლომჯარიძე**


ანა ჩაკვეტაძე

AFP ნიუ იორკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატი
## ესპანეთი. 3–16 სექტემბერი

# ლატვია ლატარია არაა
## მთელი გერმანია ერთ კაცში ეტევა

**A ჯგუფი**

**საბერძნეთი 76:66 ისრაელი**
**19:16 12:15 21:17 24:18**

**საბერძნეთი:** პაპულისი (19), დიკუდისი (15), ცარცარისი (15)
**ისრაელი:** ჰალპერინი (20), რობერტსი (13), კოზიკარო (11)

**რუსეთი 73:65 სერბეთი**
**21:13 17:17 16:18 19:17**

**რუსეთი:** კირილენკო (24 ქულა, 12 მოხსნა), ვ. ხრიაპა (11)
**სერბეთი:** გურივიჩი (24), თოდოროვიჩი (15)

სერბეთი ყოველთვის თავს იწონებდა მძლავრი ლეგიონით, რომლის ბირთვს ნბა-ში გამობრძმედილი მოთამაშეები შეადგენდნენ, თუმცა ამ ჩემპიონატზე ბალკანელებს ყველაზე „ეროვნული" გუნდი ჰყავთ. ორადორი „ამერიკელი" მარკო იარიჩი და დარკო მილიჩიჩია, ევროპის არასერბული გუნდებიდანაც ორიოდ მოთამაშეა და რაღა გააკვირია, ძველი კონტინენტის ერთ-ერთმა ტიტულიანმა ნაკრებმა ევროჩემპიონატი წაგებით რომ დაიწყო.

სერბებს მეტოქედ ყოველთვის ყონჩი, თუმცა დიდი ვერაფერი ტიტულების მომხვეჭი რუსეთი ჰყავდათ. ჩვენმა მეზობლებმა ეროვნულ ტრადიციას უღალატეს და მწვრთნელად პირველად მიიწვიეს უცხოელი. დევიდ ბლატი წინდახედული კაცი ჩანს და სერბების დამარცხების შემდეგ მოპოვებული წარმატებით კი არ ტკბებოდა, მომავალ მატჩში აუტსაიდერ ისრაელს უფრთხოდა — „თუ ჩვენ ხვალ ვერ მოვიგებთ ისრაელთან, დღევანდელი გამარჯვება მნიშვნელობას კარგავს. ახლავე უნდა დავიწყოთ მომავალი მატჩისთვის მზადება და არ უნდა მოვდუნდეთ."

სერბებს ჯალათად, რუსებს კი ლიდერად ანდრეი კირილენკო მოევლინა. „იუტა ჯაზის" ფორვარდმა ხელი არ გაანძრევინა დარკო მილიჩიჩს, ვინც თამაშიდან საშინლად ისროდა — 13-დან 2 ჩააგდო. შთამბეჭდავია თავად კირილენკოს მონაგარი: 24 ქულა, 12 მოხსნა, 3 დაფარება და ამდენივე პასი.

რუსებმა თავიდან გუნდურად შეუტიეს, თუმცა მერე და მერე კირილენკომ ითავა ლიდერობა და ბლატის სამწყსო მეორე მეოთხედში ორმაგი ანგარიშით გალიდერდა — 31:15. სერბებმა კი გაიბრძოლეს, მაგრამ სხვაობის შემცირებასა და ღირსეული ანგარიშით წაგებაზე მეტს ვერ გასწვდნენ.

ჯგუფის პარალელურ მატჩში მოქმედი ჩემპიონი საბერძნეთი ევროპირველობაზე ბოლო წამს გამძვრალ ისრაელს შეხვდა და რომ არა საბოლოომეოთხედო გამართლება, ვინძლო კისერიც წაემტვრია.

„30 წუთი თანაბარი ბრძოლა იყო. კვანძი მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში გაიხსნა, როცა ებრაელების კალათს გასაღები მოვარგეთ" — თქვა ბერძენთა ერთ-ერთმა მთავარმექულე კოსტას ცარცარისმა.

ებრაელები მართლაც არ ტყდებოდნენ. პირველი ტაიმი ფრედ დაასრულეს, ხოლო გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე ევროჩემპიონები სამ ქულას იგებდნენ. ბოლო ხუთ წუთში ბერძნებმა 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდეს, თანაც სულ სხვადასხვა მოთამაშეებმა.

**B ჯგუფი**

**ლატვია 85:77 ხორვატია**
**18:18 18:18 20:15 29:26**

**ლატვია:** სკელე (17), ბლუმსი (13), შელმანისი (13)
**ხორვატია:** კაშუნი (18), პოპოვიჩი (12)

**ესპანეთი 82:56 პორტუგალია**
**23:13 23:8 18:14 18:21**

**ესპანეთი:** პ. გასოლი (19), მ. გასოლი (11)
**პორტუგალია:** კუნია (9), სანტოსი (9)

პირველი ტურის სენსაცია ამ ჯგუფში გამოცხვა. აუტსაიდერად შერაცხულმა ლატვიამ — რომელიც მოსამზადებელ მატჩებში ხან ფინეთთან და ხან კიდევ ვინ იცის, ვისთან გარდიგარდმო მარცხდებოდა — ჩემპიონატზე პირველივე შემხვედრი აილო და ბეჭებზე გააკრა. ხორვატიაც დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ ლატვიასთვის რომ ულაპარაკოდ უნდა მოეგო, ეს ორჯერ ორივით იყო.

ბალტიელები თავიდანვე მაგრად დაუდგნენ ხორვატებს და პირველმეორე მეოთხედში ფრე გაუგორეს. აი, მეორე ტაიმიდან კი აიწყვიტეს, რაშიც ფასდაუდებელი წვლილი მათ კაპიტან აიგარს ვიტოლსს მიუძღვის. მას ხუთეულში არ დაუწყია თამაში და მოედანზე მხოლოდ 14 წუთი გაატარა, თუმცა მისმა აქტიურობამ ლატვიელებს გვარიანი სარგებელი მოუტანა.

ვიტოლსმა ჯერ სამიანი ჩააგდო, შემდეგ ხორვატებს ბურთი მოჰპარა, კონტრშეტევა ზუსტად დააგვირგვინა და ლატვიელებს 10-ქულიანი გაქცევა მოაწყობინა. ისინი 53:41 დაწინაურდნენ და ამის შემდეგ ხორვატები გონზე ველარ მოვიდნენ.

„ამიტომაც არის ის ჩვენი კაპიტანი — თქვა ლატვიელთა გოლდენსტეიტელმა ცენტრმა ანდრეს ბიედრინსმა — მან გააკეთა ყველაფერი. ის სათადარიგოთა სკამიდან თამაშში რომ ერთვება, წინასწარ იცის, რა გააკეთოს. მასთან ერთად დღეს მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. განსაკუთრებით დაცვაში და ამიტომაც გავიმარჯვეთ."

მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთმა ყველაზე მრისხანედ დაიწყო ტურნირი. მართალია, მასპინძლებს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი ეტოქებოდა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, 26 ქულით გამარჯვება იოლი საქმე როდია.

გვარიანი მუხტი იყო ხორხე გარბახოსას გამოჩენა, რომელმაც მარტში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და მოედანს ახლაღა დაუბრუნდა. ესპანელებმა მას ბოლო წამს გაუეთეს დაზღვევა და ხორხემაც, რითაც შეეძლო, დაეხმარა თავისიანების.

პორტუგალიელების რბევაში ლომის წილი დაიდო პაუ გასოლმა, რომელმაც 19 წუთში ამდენივე ქულას მოუყარა თავი. ესპანელებმა პირველი ტაიმი 46:21 მოიგეს და მერე ცოტა მოეშვნენ. თამაშის დარჩენილი დრო კომბინაციების სრულყოფას მოანდომეს თუმცა ამავდროულად დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს.



გერმანელთა ჭილა და ყველა დირკ ნოვიცკი

**C ჯგუფი**

**გერმანია 83:78 ჩეხეთი**
***ძირითადი დრო: 74:74***
**12:14 13:17 21:13 28:30 9:4**

**გერმანია:** ნოვიცკი (35 ქულა, 11 მოხსნა), დემირელი (18)
**ჩეხეთი:** ველში (22), ბარტონი (14)

**ლიტვა 86:69 თურქეთი**
**19:16 25:20 19:12 23:21**

**ლიტვა:** იასიკევიჩუსი (18 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), კაუკენასი (14)
**თურქეთი:** თურქოღლუ (18), ქუთლუაი (17)

დირკ ნოვიცკი ისევ მარტოკაცია გერმანიის ნაკრებში. უფრო სწორად, მასთან ერთად მოედანზე არიან სხვებიც, რომლებიც ხელს არ უშლიან ნბა-ს უძვირფასეს მოთამაშეს და ესეც თავისას აკეთებს. ნოვიცკიმ დიდებულად ითამაშა, 35 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, მაგრამ მისი გუნდი უსახელო ჩეხებს ბეწვზე გადაურჩა.

ჩეხებისთვის ევროპირველობაზე მოხვედრა უკვე დიდი წარმატებაა და ნოვიცკიანი გერმანიაც რომ დაემარცხებინათ, ალბათ სამშობლოში ჩასულ მათ მთავარ მწვრთნელს მიწაზე არ დაუშვებდნენ გულშემატკივრები. არადა, ჩეხეთი თითქმის მთელი თამაში იგებდა, მაგრამ ნოვიცკიმ სენსაცია აღკვეთა. მას მხარში დაუდგა გაგერმანელებული თურქი მიჰათ დემირელი, რომელიც თამაშში მოგვიანებით ჩაერთო და 18 ქულას მოუყარა თავი.

„ჩვენ ვცდილობდით, ნოვიცკის შეჩერებას და ეს ვერ შევძელით. მის გარდა, ერთადერთი მოთამაშე იყო, ვინც რამე ღირებული გააკეთა. თამაში დემირელმა და ნოვიცკიმ მოგვიგეს" — თქვა ჩეხთა უკანახაზელმა პაველ ბენეშმა.

ჩეხების ერთადერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი ირჟი ველში იშტაზე იყო და საქმე დამატებით დრომდე რომ მივიდა, მისი დამსახურებაა, ექსტრატაიმში კი გერმანელებმა შანსი აღარ დაუტოვეს ახალგამოჩეკილ ჩეხებს და მეორე ტურში თუ თურქებსაც მოუგებენ, ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებენ.

საკუთრივ თურქები ლიტველებთან დამარცხდნენ. ბალტიისპირელებს დაუბრუნდათ შარუნას იასიკევიჩუსი, ვისმა დიდებულმა გარჯამ ლიტველებს იოლად მოაგებინა. მთლად სამმაგი დუბლი ვერა, მაგრამ იასიკევიჩუსმა 18 ქულას, 8 მოხსნასა და 7 პასს კი მოუყარა თავი.

**D ჯგუფი**

**საფრანგეთი 74:66 პოლონეთი**
**22:18 13:14 25:21 14:13**

**საფრანგეთი:** პარკერი (16), კირკსი (12)
**პოლონეთი:** ვოიჩიკი (19), შეჩიკი (12)

**სლოვენია 69:68 იტალია**
**21:14 17:11 18:20 13:23**

**სლოვენია:** სმოდიში (19), ლაკოვიჩი (12)
**იტალია:** ბულერი (20), სორანა (16), მორდენტე (12)

„მე არ მქონდა ფიქრის დრო და ამიტომაც ჩავაგდე გადამწყვეტი ბურთი" — თქვა სლოვენიელთა გმირმა იაკა ლაკოვიჩმა, ვინც იტალიელებს საფინალო სირენის თანხლებით სამქულიანი ჩაუგდო და თავისიანებს 69:68 გაამარჯვებინა.

ეს იყო პირველი დღის ყველაზე დრამატული მატჩი. როცა მთელი თამაშის მანძილზე სლოვენიელების კუდში მდევარმა იტალიელებმა ბოლო წუთზე ლიდერობა მოიპოვეს, ალბათ შვებითაც ამოისუნთქეს, მაგრამ...

მატეო სორანამ უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩაუგდო სლოვენიელებს და თან მეტოქე აიძულა, დაჯარიმებულიყო. მან ჩაროზ-სროლაც ჩააგდო და იტალია 68:65 დააწინაურა. დამთავრებამდე ხუთი წამიღა რჩებოდა, მაგრამ ლაკოვიჩმა მთელ იტალიას პირი დააღებინა.

არადა, სლოვენია ალბათ წაგების ღირსი იყო. ბოლო მეოთხედში, თამაშის დასრულებამდე 5 წუთი რომ რჩებოდა, ექსიუგოსლავიელები 60:47 იგებდნენ და იმდენი ქნეს, ასეთი სოლიდური უპირატესობა გაანიავეს.

„როცა ბოლო წუთზე ჩამოვრჩით, ვიფიქრე, რომ ჩვენს გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვების მოსაპოვებლად სიმტკიცე არ ეყო. აბა, სხვანაირად როგორ ამეხსნა ამხელა ლიდერობის განიავება. თუმცა, ჩვენდა გასახარად, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა და იტალიელთა დამარცხებით საუკეთესო განწყობა შევიქმენით" — თქვა სლოვენიელთა შორის უმეტესი ქულის მომხვეჭმა მატიაჟ სმოდიშმა.

მეორე მატჩში საფრანგეთმა დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა აუტსაიდერ პოლონეთთან.

**ირაკლი ბერტაია**



სლოვენიელებმა იტალიელთა ბოლო წამებზე ძლევით გაიხარეს

## მეორე ტური. გუშინ

**A ჯგუფი**
**რუსეთი 90:56 ისრაელი**
**საბერძნეთი 68:67დ.დ. სერბეთი**
ძირითადი დრო 56:56

**B ჯგუფი**
**ხორვატია 90:68 პორტუგალია**
**ესპანეთი 93:77 ლატვია**

**C ჯგუფი**
**ლიტვა 95:75 ჩეხეთი**
**გერმანია 79:49 თურქეთი**

**D ჯგუფი**
**საფრანგეთი 69:62 იტალია**
**სლოვენია 70:52 პოლონეთი**

# ოვალური სათამაშო

7 სექტემბერს საფრანგეთში მეექვსე სარაგბო მსოფლიოს თასი იწყება და თავისთავად, რომ ქვეყანა რაგბით სუნთქავს. აგერ, ვერსალში შუა მოედანზე ქვიშა დაყარეს და ოვალურბურთჩაბღუჯული ბავშვები ათამაშეს.




AFP პარიზიდან

# თვალვარჯიშიც

შტუტგარტში მიმდინარე ტანვარჯიშის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ტანთან ერთად თვალსაც ავარჯიშებს ამერიკელი ალისა საკრმონი.




AFP შტუტგარტიდან

# ქუჩის ბიჭები

სკეიტბორდს ჯერჯერობით არ „ემუქრება" ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩაწერა, ჰოდა, ბორდერები ისევ ქუჩაში ცდილობენ სახელისა და პოპულარობის მოხვეჭას. ეს სკეიტამბავი კი ბელგრადის ქუჩებში ხდება.



AFP ბელგრადიდან

# ევროქალები

ესპანურ ქალაქებში ევროკალათბურთი დუღს. ახმაურებულან ტრიბუნები, სადაც არამც და არამც არ იგრძნობა მდედრთა სიმცირე. აი, ლატვიელი გოგოცუნცულები მხიარულად პოზიორობენ, ამ დროს კი მათი ვაჟი თანაგუნდელები ხორვატებს უგებენ




AFP სეგ. ფიიდან

## ფეხბურთი

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. VII ტური**

| | |
|---|---|
| კემბრიჯი 1:0 გრეისი | ნორსვიჩი 0:2 ბარტონი |
| დროილსდენი 0:3 სტივენეიჯი | ოქსფორდი 2:2 ექსეტერი |
| ფერსლი 1:1 კიდერმინსტერი | რაშდენი 1:1 ძროული |
| ფორესტ გრინი 2:3 ალდერშოტი | ტორკი 4:0 სალისბერი |
| გრეივსენდი 0:1 ჰისტონი | უოქინგი 1:1 ვეიმუთი |
| | იორკი 2:2 ალტრინჩემი |

**LDV VANS TROPHY**
**პირველი ეტაპი**

| | |
|---|---|
| სუონსი 3:2 მილუოლი | აკრინგტონი 2:3 ოლდემი |
| სუინდონი 4:1 ბრენტფორდი | ბორნმუთი 2:0 უოლსოლი |
| ტრანმერი 0:1 მორეკემბი | დონკასტერი 5:1 ბრედფორდი |
| ჩესტერი 4:3პენ.(1:1, 1:1დ.დ.) ძრიუ | ლუთონი 2:0 ნორთჰემპტონი |
| ნოტინგემი 2:3 პიტერბრო | მენსფილდი 0:1 როტერჰემი |
| ჩესტერფილდი 1:3 ჰარტლპული | საუთენდი 6:7პენ. (2:2, 2:2დ.დ.) დაგენემი |
| გრიმსბი 4:1 ჰადერსფილდი | იოვილი 1:0 შრიუსბერი |

### შოტლანდია

**ჩელენჯ ქაფი**
**II ეტაპი**

| |
|---|
| ისტ სტირლინგი 1:0 ძუინზ პარკი |
| პიტერჰედი 0:1 მორტონი |
| ერდრი 5:1 არბროთი |
| ფორფარი 0:2 ეარი |
| მონტროუზი 1:2დ.დ (1:1) ბრეჩინი |
| პარტიკი 3:1 ბერვიკი |

### შვედეთი

**სუპერეტა**
**XXII ტური**

| |
|---|
| ლანდსკრონა 0:1 ბანკეფლო |
| იორგრიტე 1:0 სილვია |
| სუნდსვალი 1:0 ფალკენბერგი |

### ესპანეთი

**თასის II ეტაპი**

| |
|---|
| ლას პალმასი 1:0 სოსიედადი |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00